

საბა

## საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№2

თებერვალი  
2008

არჩევნების შემდეგ  
შობა საქართველოში  
ლოცვა იოანე პავლე II-ის ცხოვრებაში  
კონსტანტინოპოლის საგანის საგანძურადან  
ქრისტიანთა ერთობისათვის

რედაქციის გვერდი

### არჩევნებისა და ინაუგურაციის შემდეგ

ევროპულმა მასმედია იმდენად დიდი ადგილი დაუთმო 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებს და შემდგომ თბილისში 20-21 იანვრის ინაუგურაციას, რომ *ევრონიუსმა* ბაგრატის ცერემონიალს მთლიანად მიუძღვნა რუბრიკა „No Comment“, ხოლო ამ რუბრიკისთვის კი, ძირითადად, თავისთავად მრავლისმეტყველ ფაქტებს არჩევნ.

თუკი ამ შთამბეჭდავი სურათით დავიწყებ და შემდეგ იმ საუბრებზე გადავალ, რაც წინ უძღოდა და მოჰყვა 5 იანვრის არჩევნებს, მრავალი რამის თქმა შეგვიძლია; ერთი შეხედვით თითქოს ყველა მართალი იყო და ყველას თავისი წილი სიმართლე ჰქონდა; დღეს ბევრი იმ აზრს ადგას, რომ პოლიტიკაზე და არჩევნებზე საუბრისას შეუძლებელია სიმართლის გაგება მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით. მრავალ ადამიანში გაჩნდა სკეპტიციზმი, სხვებში კი ღრმა თვითდაჯერებულობა მიღწეულ შედეგთა გამო. რა უნდა ვიფიქროთ, რა უნდა ვთქვათ? მართლაცდა, სად არის ამ ყველაფერში სიმართლე? „No Comment“? ხომ არ შეიძლება ვიცხოვროთ რაიმე ფაქტის ან რაიმე პროგრამის სიმართლის შეუცნობლად; საქმე სულ სხვაგვარად არის, როდესაც ადამიანს არაგონიერ არსებად ეპყრობი და საფრთხეს უქმნი ამჟამინდელ და მომავლის დემოკრატიას.

მაგანმა შეიძლება ისიც იფიქროს, რომ ეროვნული იდეებისთვის ან საერთაშორისო პოლიტიკური გეგმებისათვის სიმართლის მსხვერპლად გაღებაც კი შეიძლება; როგორი შეიძლება იყოს ეს ღირსებები და რატომ მაინცა და მაინც ესენი და არა სხვები?

მართალია, ძნელად თუ გავიგებთ სად არის სიმართლე, მაგრამ იმის გარკვევა მაინც შეგვიძლია, ვინ უფრო აფასებს სიმართლეს და ვის სჯერა, რომ ამჟამინდელი ვითარებისა და ფაქტების სიმართლე იმაზე გაცილებით რთულია, რაც შეიძლება ითქვას ერთ ან მეორე მხარეს ან დედაქალაქის გადმოსახედიდან გამოჩნდეს. ამიტომაც, პირველ რიგში, ყველას მოეთხოვება სიყვარული სიმართლის, თანამშრომლობის, დიალოგის, ფაქტების სრული და მიუკერძოებელი ინტერპრეტაციის გარეშე. არ შეიძლება სიმართლე გაცხადდეს სლოგანების, ნაწილობრივი ინფორმაციის ხარჯზე, მოწინააღმდეგე მხარისადმი უპატივცემულობით, იმ დონეზე, რომ ისინი სხვების ხახას გადასცე, როგორც შექმნილი ვითარების ერთადერთი პასუხისმგებელი. განა უმჯობესი არ

იქნებოდა კანდიდატების ურთიერთმოსმენა პატივისცემის საფუძველზე და არა მათი მოსმენა ქუჩური ჟარგონით?

მრავლისმეტყველია, რომ უმრავლესობის ეკლესიის წარმომადგენლებმა მშვიდობისაკენ, დიალოგისკენ მოუხმეს ხალხს, მაგრამ ცუდად ნამდვილად არ გაიქურდა მოწოდება პატივისცემაში და სიმართლის სიყვარულში, წმ. ირენოს ლიონელის სიტყვებით: „ჩვენთვის კანონი, იგივე ჭეშმარიტებაა“ (Adversus Haereses, 2). რადგანაც მათთვის, ვინც მთავრობის მხარეზეა და მათთვის, ვინც ოპოზიციას უჭერს მხარს, საგრძნობლად რთული იქნება სამართლიანი, მშვიდობიანი საზოგადოების აგება, თუკი სიმართლის წინააღმდეგ გაილაშქრებენ, მით უფრო, თუკი შემდგომ მაინც უნდა გაიცეს სასიამოვნო კურთხევა რომელიმე წმიდა სასახლეში!

ცხადია, „No comment!“-ის ამ შთაბეჭედავი სიუჟეტიდან ვერ ვიტყვით, როგორც ეს ოპოზიციის კანდიდატთა საარჩევნო კამპანიაში გაისმოდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოში აკლია პატივი და აღიარება, თუკი ასეა, ეს ნიშნავს, რომ უკეთესად კომუნისტურ რეჟიმში იყო! აქ საკმარისია, გავიხსენოთ კონკორდატი, უამრავი ეკლესია, ამ უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში აგებული დიდი თუ მცირე ნაგებობა, ამგვარი გაცხოველებული მშენებლობა არცერთ სხვა პერიოდში არ ყოფილა! თუკი სიმართლეა ის, რომ საქართველოში მოქალაქეთა უმრავლესობა მართლმადიდებლური რწმენისაა, ეს როდი ნიშნავს, რომ აქ არ ცხოვრობენ სხვადასხვა რწმენის ადამიანები, ან სხვა ეკლესიებს არ მიეკუთვნებიან ან არ სარგებლობენ ყველა მოქალაქეთა უფლებებით. ამის დავიწყება უკვე ნიშნავს მნიშვნელოვანი სიმართლის უგულვებელყოფას. თუკი მართლმადიდებელ ეკლესიებს დაუბრუნდათ ან გადაეცათ უამრავი ქონება – მიწის ნაკვეთები, ტყეები (რაც, ღმერთმა ნუ ქნას, დროთა გასვლის შემდეგ დახავსებულ ქვებად იქცნენ! წარსული გვასწავლის...) უფლება ეძლევათ, ააგონ ეკლესიები, მონასტრები, რატომ არის, რომ თუნდაც პროცენტული შედარებით, იგივეს არ აკეთებენ სხვა ეკლესიებისა და სხვა კონფესიების მიმართ, იმას მაინც რად არ უბრუნებენ, რაც კანონით ეკუთვნით! მაგალითად, კათოლიკე ეკლესიას, რომლის საკუთრებას ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესია განაგებს, მათ შორის 5 ეკლესიას, რომელთაგან ერთი სწორედ იმ ბაგრატის ტაძრის ქვევით მდებარეობს (ჟურნალის გარეკანის პირველ გვერდზე განთავსებულია ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის შენობა, ბაგრატის ტაძრის გადმოსახედიდან), სადაც პრეზიდენტმა პატრიარქის კურთხევა მიიღო. ზოგჯერ სიმართლე სწორედ რომ თვალწინ გვაქვს და არ გვსურს შევხედოთ... პასუხად გვეუბნებიან, რომ ამის გაკეთება ძალზე რთულია, შეუძლებელზე რომ აღარაფერი ვთქვათ; იქვე კი გაცილებით რთული პროექტების შესრულებას გვპირდებიან, როგორცაა, მაგალითად – „საქართველო სიღარიბის გარეშე!“

იმ ადამიანებმა, ვინც იბრძვის იმისათვის, რომ სამყარო სიღარიბის გარეშე იყოს, – და მათ რიგებს არ ჩამორჩება კათოლიკე ეკლესია საქართველოში და მთელს მსოფლიოში, – უწყიან, რაოდენ საპასუხისმგებლო და რთულია ეს, ლამის შეუძლებელიც კი.

იქნება ეს დაპირება ნამდვილი? თუ ეს ფრაზა სხვისი სიღარიბის საკუთარი ინტერესების გამოყენების მიზნით იყო ნათქვამი, უმრავლესობის ეკლესიის გულგრილობების დარად? დაინტერესება იმით, რამდენად შეესაბამება სხვისი ნათქვამი სიმართლეს, სულაც არ ნიშნავს უნდობლობას, პირიქით, ამით სერიოზულად იღებ მის ნათქვამს.

აღმოსავლეთი შეიძლება გაკვირდეს და No commenti-ის სიუჟეტი დააფიქროს ნებაყოფლობით ნეიტრალურ პოზიციაში მყოფი დასავლეთი ამ რელიგიური სინამდვილის წინაშე.

სანამ ახლადარჩეული პრეზიდენტი თავის მსახურებას შეუდგება ხალხის, განურჩევლად ამომრჩევლისა და არაამომრჩევლის წინაშე, ვუსურვებთ გულით, რომ სიმართლის სამსახურში ჩააყენოს დაკისრებული როლი და შეასრულოს მიცემული დაპირებები. ასევე ვუსურვებთ ოპოზიციას საკუთარი როლის უკეთ შესრულებას, ვინაიდან ესეც დემოკრატიაა, და პირველ რიგში, პატივი უნდა სცენ ამ ქვეყნის დემოკრატიის კანონებს და სიმართლეს, ერთობლივად.

## მამა გაბრიელე ბრაგანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

### კათოლიკურ-ებრაული დიალოგის ახალი ფურცელი

17 იანვარს რომში აღინიშნა კათოლიკეთა და ებრაელთა შორის დიალოგის გაღრმავებისა და განვითარების დღე. ეს შეხვედრა ტრადიციულად ქრისტიანთა ერთობისთვის ღოცვის კვირეულის დაწყებამდე იმართება. ეკუმენიზმისა და დიალოგის კომისიის თავმჯდომარემ ეპისკოპოსმა ვინჩენცო პალიამ და მილანის რაბინთა ტრიბუნალის თავმჯდომარემ ჯუზეპე ლარამ ერთობისთვის ღოცვის კვირეულისთვის მოამზადეს სახელმძღვანელო, რომელშიც იტალიელი რაბინი აღნიშნავს, რომ ამ დღის ეკლესიოლოგიური და ეკუმენური საფუძველი ვატიკანის მეორე კრებაა, რომელიც გვახსენებს “იმ კავშირის შესახებ, რომლითაც ახალი აღთქმის ხალხი აბრაჰამის მოდგმასთან არის დაკავშირებული” (დეკლარაცია ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ არაქრისტიანული რელიგიების მიმართ “Nostra aetate”, 4).

“ამ კავშირის გარეშე ვერ ვიქნებით ქრისტიანები. სასიხარულოა, რომ ებრაელებისთვის უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ქრისტიანები მათი მტრები კი არა, ძმები არიან... კაცობრიობის მომავალი, ღმრთის მამობიდან გამომდინარე, შეუძლებელია არ იყოს ძმური,” – ამბობს ეპისკოპოსი ვინჩენცო პალია.

“მე მჯერა, რომ ჩვენ ვუახლოვდებით ერთმანეთს, უპირველეს ყოვლისა, მაშინ, როდესაც ხაზს ვუსვამთ მოყვანისადმი სიყვარულიც მცნებას, რომელმაც საფუძვლიანად შეცვალა დასავლეთის ცხოვრება, და როდესაც ჩვენს შორის განსხვავებები ჩვენი შეხვედრის მიზეზი ხდება,” – აღნიშნავს რაბინი ლარა.

### რომის პაპის მადლობა

კვირას, 20 იანვარს, ბენედიქტე XVI-მ მადლობა გადაუხადა წმიდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ ათასობით მორწმუნეს სოლიდარობისთვის, რომელიც მათ გამოხატეს რომის უნივერსიტეტ “საპიენცაში” მისი გაუქმებული ვიზიტის გამო.

“უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადაუხადო სტუდენტებს, პროფესორებსა და ყველას, ვინც მოვიდა დღეს წმიდა პეტრეს მოედანზე. მთელი გულით გიხდით მადლობას,” – თქვა პაპმა.

მან აღნიშნა, რომ მზადყოფნით მიიღო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მოწვევა აკადემიური წლის გახსნის ცერემონიაზე. “მაგრამ, სამწუხაროდ, იქ შექმნილი ატმოსფეროს გამო ჩემი ვიზიტი შეუძლებელი გახდა. მე მოგიწოდებთ, პატივცემულო სტუდენტებო და მასწავლებლებო, ყოველთვის პატივი სცეთ სხვათა აზრს,” – დაამატა პონტიფექსმა.

დაგეგმილი ვიზიტი გაუქმდა 15 იანვარს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორების ნაწილის აქტიური პროტესტის გამო. მათი აზრით, პაპის გამოთქმები ძალზე რეაქციულია. რექტორის სახელზე შედგენილ წერილში

უნივერსიტეტის პედაგოგებმა გაიხსენეს, რომ ჯერ კიდევ კარდინალად ყოფნის დროს პაპმა ეკლესიის პროცესს გალილეის წინააღმდეგ “გონივრული და სამართლიანი” უწოდა. მათ აღნიშნეს, რომ ამგვარი განცხადებები “ამცირებს მეცნიერებს, რომლებიც თავის სიცოცხლეს მეცნიერებისა და პროგრესის განვითარებას უძღვნიან”.

ფრაზა, რომელმაც ასეთი აუიოტაჟი გამოიწვია, პაულ კარლ ფოიერბენდის ნაშრომიდან აღებული ციტატაა, – “გალილეის ეპოქაში ეკლესია უფრო ერთგული იყო გონებისა, ვიდრე თავად გალილეი. პროცესი მის წინააღმდეგ გონივრული და სამართლიანი იყო”, – რომელიც კარდინალმა იოზეფ რაცინგერმა თავის სიტყვაში გამოიყენა, 1990 წლის 15 თებერვალს ამავე უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე. ჯორჯო იზრაველი, უნივერსიტეტ “საპიენცას” მათემატიკის პროფესორი აღნიშნავს, რომ კარდინალ რაცინგერის სიტყვის თემა მეცნიერების საკუთარი თავისადმი ნდობის კრიზისი იყო. თუ XVII საუკუნეში გალილეი ეკლესიის ობსკურანტიზმის სიმბოლო იყო, XX საუკუნეში დამოკიდებულება შეიცვალა და ხაზი გაესვა იმას, რომ მეცნიერმა ვერ მოიყვანა პელიოცენტრული სისტემის დამაჯერებელი მტკიცებულებები. ეს ციტატა იოზეფ რაცინგერმა არა გალილეის წინააღმდეგ პროცესის გასამართლებლად გამოიყენა, არამედ იმის დასამტკიცებლად, რომ “თანამედროვეობის უნდობლობა საკუთარი თავისადმი დღეს მეცნიერებასა და ტექნიკასაც გადაედო”. პროფესორი აღნიშნავს, რომ პაპის ვიზიტის მოწინააღმდეგენი “არც გაისარჯნენ, რომ ის სიტყვა სრულად და ყურადღებით წაეკითხათ”.

## **პატრიარქ ალექსი II-ის თვალსაზრისი**

“პაპი ცდილობს, იპოვოს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებისა და თანამედროვე ობიექტური რეალობებისა და მოთხოვნების შეთანხმების ქმედითი ფორმები”, – აღნიშნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ალექსი II-მ იტალიური ჟურნალი “30 ჯორნი“-სთვის მიცემულ ვრცელ ინტერვიუში.

მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შორის დიალოგზე საუბრისას პატრიარქმა აღნიშნა, რომ “ჩვენ სიხარულით მივიღებთ გამიჯნულობის დაძლევისკენ მიმართულ ნებისმიერ მცდელობას. სხვა საკითხია, როგორია ამა თუ იმ უთანხმოების ბუნება. ყოველი სიტუაცია განსაკუთრებულ განხილვას მოითხოვს. საკითხის არსის გაგება გადაწყვეტილების პოვნაში დაგვეხმარება. განსხვავებათა პატივისცემითა და დაცვით ძიება იმისა, რაც გვაერთიანებს და არა გემიჯნავს, უმეტეს შემთხვევაში ქმედითია. ზედმეტი ოპტიმიზმის გარეშე მინდა ვთქვა, რომ სწორედ ამაში ვხედავ მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ურთიერთობის განსაკუთრებულ პერსპექტივას... განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გავაერთიანოთ ძალისხმევა საერთაშორისო სამართლის განვითარების დახმარების მიზნით, მონაწილეობა მივიღოთ კონფლიქტური სიტუაციების დაძლევაში, სწორად გავიგოთ რელიგიის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთქმედების განსხვავებული მოდელები”.

## **დიალოგი კათოლიკეთა და მუსლიმთა შორის**

წმიდა საყდარი ბენედიქტე XVI-ისა და 138 მუსლიმი ლიდერის წარმომადგენლების შეხვედრისთვის ემზადება. ბოლო თვეებში წმიდა საყდარსა და მუსლიმ ლიდერებს შორის ინტენსიური მიმოწერა მიმდინარეობდა.

“მიზეზი, რომელიც დიალოგისკენ გვიბიძგებს, უმთავრესად მღვთმარეობს კეთილი ნებისა და სამართლიანობის ძიებაში, რათა განვახორციელოთ ის, რასაც ჩვენ, მუსლიმები ვუწოდებთ “rahmah”, თქვენ კი – “caritas” – აღნიშნავს

იორდანის პრინცი ღაზი ბინ ტალალი კარდინალ ბერტონესადმი მიმართულ წერილში. იგი ამატებს, რომ სრული საღმრთისმეტყველო თანხმობა ქრისტიანთა და მუსლიმთა შორის შეუძლებელია, მაგრამ უნდა გაგრძელდეს “თანამშრომლობა, დაფუძნებული უკვე მიღწეულ შეთანხმებებზე... მთელი მსოფლიოს კეთილდღეობისთვის”.

რელიგიათა შორის დიალოგის პაპის საბჭოს თავმჯდომარემ კარდინალმა ჟან-ლუი ტორანმა გაზეთ “ოსერვატორე რომანოსთვის” მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მუსლიმთა პირველი დელეგაცია ვატიკანს თებერვალში ან მარტში ეწვევა.

კათოლიკეთა და მუსლიმთა დიალოგის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საუდის არაბეთის მეფის აბდალა ბინ აბდულ აზიზის ვიზიტი ვატიკანში 2007 წლის 7 ნოემბერს.

### **კარდინალ ბერტონეს მომავალი სტუმრობა**

“თებერვალში კუბაზე წასვლას ვაპირებ. იმედი მაქვს, რომ შევხვდები ფიდელ კასტროს ძმას, რაულ კასტროს, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს,” – განაცხადა კარდინალმა.

ვატიკანის სახელმწიფო მდივანი აღნიშნავს, რომ მისი ეს ვიზიტი იოანე პავლე II-ის სამოციქულო ვიზიტის ათი წლისთავს უკავშირდება. 1959 წლის რევოლუციის შემდეგ კუბიდან მრავალი კათოლიკე მღვდელი განიდევნა. ქვეყანაში დარჩენილებს ოფიციალური ათეიზმის პირობებში უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. იოანე პავლე II-ის ვიზიტი ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის საქმიანობა ამ ქვეყანაში დღესაც ძალზე შეზღუდულია.

### **ტეხეს მორიგი შეხვედრა**

28 დეკემბრიდან პირველ იანვრამდე ჟენევაში მიმდინარეობდა ახალგაზრდული შეხვედრა, ორგანიზებული ტეხეს საკრებულოს მიერ. შეხვედრაში 40000 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

პაპმა წერილით მიმართა შეკრებილებს: “მხოლოდ ქრისტე გვაძლევს გასაღებს ჭეშმარიტი სასოებისა, რომელიც აღემატება ჩვენს მცირე იმედებს... გარდავქმნათ სამყარო სახარებისეულ ღირებულებებზე დაყრდნობით, განსაკუთრებით კი მიტევებაზე, სიყვარულის უმაღლეს წერტილზე, რადგან მიმტვევებელი არ ყოფნდება დაშვებულ შეცდომაზე და მომავლისკენ იკაფავს გზას”.

შეკრებილებს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომე I-მაც მიმართა: “თუკი ადამიანი უარს არ იტყვის ბატონობაზე, ვერასდროს შეძლებს ღმრთის სამართლის თანახმად ცხოვრებას”.

### **რუსეთის კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა თანამშრომლობისათვის**

28 დეკემბერს მოსკოვში შედგა რუსეთის მართლმადიდებელ-კათოლიკე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. ერთობლივი სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა 2004 წელს, კარდინალ ვალტერ კასპერისა და რუსეთის პატრიარქის ალექსი II-ის შეხვედრის შედეგად. ჯგუფი შექმნილია იმ კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც არსებობს რუსეთის კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა შორის.

სხდომაზე გადაწყდა, რომ ჯგუფი შეიკრიბება სამ თვეში ერთხელ. საუბარი შეეხებო მასშედისთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას, კათოლიკურ

თავშესაფრებს, რომელთა მესვეურებს ხშირად პროზელიტიზმში ადანაშაულებენ. ჯგუფმა განიხილა ახალი კათოლიკური ტაძრების აშენების საკითხი, ასევე იმ ძველი ტაძრების დაბრუნებისა, რომლებიც ამჟამად საკულტო მიზნებისთვის არ გამოიყენება.

### **არაბული ქვეყნების ეპისკოპოსები ვატიკანში**

18 იანვარს ბენედიქტე XVI-მ მიიღო არაბეთის რეგიონის ეპისკოპოსთა დელეგაცია მისი უნეტარესობის იერუსალიმის კათოლიკე პატრიარქის მიშელ საბაჰის მეთაურობით.

“ქრისტიანთა მოწოდება თქვენს ქვეყნებში უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ქრისტიანები, მშვიდობისა და სამართლიანობისთვის მოღვაწენი, ქრიტეს ცოცხალ მყოფობას აცხადებენ, იმისა, ვინც მოვიდა, რათა მამა სოფელთან შეარიგოს და ერთად შეკრიბოს მისი გაფანტული შვილები,” – მიმართა პაპმა მღვდელმთავრებს.

ბენედიქტე XVI-მ აღნიშნა, რომ ამ რეგიონში კათოლიკეთა ურთიერთობა მუსლიმებთან და იუდეველებთან ყოველდღიური რეალობაა. “თქვენს ქვეყნებში მორწმუნეთა შორის ურთიერთობის ხარისხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი ერთდროულად ღმრთის მოწმობაცაა და ძმობის დამყარების საქმეში შეტანილი წვლილიც... მინდა გამოვხატო სიახლოვე თქვენს რეგიონში მცხოვრებ ადამიანებთან, რომლებიც ძალადობის მრავალი ფორმისგან იტანჯებიან. გქონდეთ მსოფლიო ეკლესიის თანადგომის იმედი. ყოველმხრივი დიალოგისკენ მოუწოდებ კეთილი ნების ადამიანებს... რათა შეწყდეს ძალადობა, ყველგან დამყარდეს ჭეშმარიტი და მყარი მშვიდობა, იყოს თანადგომა და თანამშრომლობა”.

რუბრიკა მოამზადა  
**რუსუდან ავალიშვილმა**

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

### **თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის შობა-ახალი წლის ქრონიკა**

საშობაო და საახალწლო დღეები დატვირთული აღმოჩნდა ჩვენი ეკლესიის მრევლისათვის.

24 დეკემბერს ბავშვებმა ანგელოზის დღე მიულოცეს მამა ადამ ოხალს. მათ მიერ წარმოდგენილმა პატარა სცენამ, რომელიც საღებუელთა კონგრეგაციის დებმა მოამზადეს, თავისი განსხვავებულობითა და გამორჩეულობით არა მარტო მამა ადამი, არამედ სხვა დამსწრენიც აღაფრთოვანა. შობის დღის წირვა გადაიღო და იმავე დღეს 20 საათის “მოამბეში” უჩვენა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა. პროგრამაში წმ. წირვის ფრაგმენტებთან ერთად, წარმოდგენილი იყო ინტერვიუებ მრევლის წევრებთან.

აღსანიშნავია, რომ ტელეარხის ჟურნალისტება სურვილი გამოთქვეს, გადაეღოთ სიუჟეტი ბინაში – მათ აინტერესებდათ ქართველი კათოლიკეების საშობაო ტრადიციები. სამწუხაროდ, წირვაზე არ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული არც ერთი ქართული ოჯახი, რომელიც ტელეკომპანიას მასპინძლობას გაუწევდა (კარგი იქნებოდა ეს ფაქტი შემდეგში გაგვეთვალისწინებინა).

30 დეკემბერს, წმ. ოჯახისადმი მიძღვნილი წირვის შემდეგ, ბავშვებმა წარმოადგინეს საშობაო სცენა, რომელიც მოამზადა დიაკონმა მიშა სურმაჯამ.

წარმოდგენა შესანიშნავად იყო გაფორმებული, როგორც მუსიკალური, ისე სასცენო თვალსაზრისით. ღონისძიების დასასრულს ბავშვებს საშობაო საჩუქრები დაურიგდათ.

და აი, ნანატრი ახალი წელიც!

1 იანვარს უწმიდესი მარიამ ღმრთისმშობლის დღესასწაული, მშვიდობის მსოფლიო დღე და ახალი წლის დადგომა აღინიშნა. ამ დღეს ეკლესიაში დიდი სულიერი აღმაფრენა იგრძნობოდა და ამას მორწმუნეთა მისაღმებებსა და მილოცვებშიც თვალნათლივ შეამჩნევდით.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია წლევეანდელი 6 იანვარი – უფლის გაცხადების დღე. წირვის დამთავრების შემდეგ მამა ადამმა ყველას მოგვიწოდა „პრეზენტს“ – ბაგასთან ახლოს შეეკრებილიყავით. მუხლმოყრილი თაყვანისცემისა და ლოცვების შემდეგ, დიდხანს ვუგალობეთ ყრმა იესოს თითქმის ყველა საშობაო გალობა.

ამავე დღეს, 14 სთ-ზე ნეოკატეხმენური საკრებულოების ბავშვების მიერ წარმოდგენილი იყო დადგმა „საშობაო ისტორია“.

იოანე პავლე II-ს სახელობის დარბაზი, სადაც სცენა იყო მოწყობილი, საზეიმოდ იყო მორთული, ასევე ყურადღებას იპყრობდა ბავშვთა კოსტიუმები. დადგმა მოამზადა კატეხისტმა კარინა ოსიპოვამ. პატარა „მსახიობებმა“ საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს. კონცერტის ბოლოს ბავშვებს საჩუქრები დაურიგდათ, რამაც დიდად გაახარა პატარები.

ახალი წელი გრძელდება. ჩვენმა ეკლესიამ უკვე იზეიმა უფლის ნათლისღების დღესასწაული, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქრისტიანთა ერთიანობისათვის მიძღვნილ ერთკვირიან ლოცვაში, წინაა მოციქულთასწორის წმ. ნინოსა და წმ. იოანე ბოსკოს მოხსენიების დღეები. ასე რომ, წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის მრევლისათვის იანვარი აქტიურ ცხოვრების პერიოდი იყო.

დაე, 2008 წელი მშვიდობისა და სიხარულის მომტანი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსათვის.

**ნადეჟდა ჩიტაძე**

## **გმადლობთ!**

**ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ „კარიტასის“ ჯგუფს**

საქართველოს პენსიონერთა და ვეტერანთა პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი მადლიერების გრძნობით მოგმართავთ იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი დიდი ძალისხმევით ხელს უწყობთ ჩვენს ორგანიზაციაში გაწვევრიანებულ სოციალურად დაუცველ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ პენსიონერებსა და ვეტერანებს.

ძალიან დიდია თქვენი წვლილი იმის მცდელობაში, რათა თქვენი გულმოწყალების არეალში მოგექციათ უპოვარები და უმწეონი, მარტოხელები და ლატაკები და თანადგომა გამოგეცხადებინათ გაჭირვებული ადამიანების მიმართ; გაგეცოცხლებინათ მათთვის სიყვარულისა და სიკეთის არსებობის თითქმის ჩამქრალი იმედის ნაპერწკალი. ეს კი შეუფასებელია, რადგანაც უსიყვარულოდ, ისევე როგორც უიმედოდ წარმოუდგენელია სიცოცხლე. თქვენ ეს გწამთ და ამ რწმენით მოღვაწეობთ, თქვენ გწამთ, რომ სანთელი მხოლოდ მაშინ ანათებს, როდესაც იწვის.

მადლობას გწირავთ ასობით ადამიანის სახელით, რომლებმაც საკუთრივ იგემეს თქვენგან მიღებული სიკეთის ნაყოფი.

მადლობას მოგახსენებთ თქვენ და, ასევე, „საქართველოს კარიტასს“ თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

## ჩვენ ყველანი ერთი ვართ ქრისტე იესოში

2007 წლის 22 ნოემბერს, სოფელ არალში, ჩვენი მართლმადიდებელი ძმებისათვის გაიხსნა წმ. ნინოს სახელობის სამლოცველო. ახალციხის ეპისკოპოსმა თეოდორემ ამ ეკლესიის წინამძღვრად აკურთხა მამა იოსები.

ჩვენ, სოფელ არალის კათოლიკე მრევლი მივესალმებით ქრისტიანულ რწმენაში ჩვენი ძმების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ვუსურვებთ მოყვასის სიყვარულზე დაფუძნებულ რწმენის სიმტკიცეს და სახარებისეული ფასეულობების პრაქტიკულად განხორციელებას. იმედი გვაქვს, რომ მრევლის მიერ განხორციელებული ამგვარი ქმედება მიმართული იქნება რწმენის სისრულის ძიებისაკენ და არა მხოლოდ მართლმადიდებლობის სახელმწიფოებრივი სარწმუნოებასთან გაიგივებისაკენ. უნდა გვესმოდეს, რომ პატრიოტიზმი არ გამოიხატება მაინცდამაინც რწმენის ამა თუ იმ რელიგიურ მიმდევრობაში. ჩვენ ყველანი ქრისტიანები ვართ და ქრისტე ყოველთვის ჩვენს შორისაა, ჩვენთანაც და თქვენთანაც, „ვინაიდან სადაც, ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ შორის“ (მათ. 18, 20).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჭეშმარიტი რწმენის განმტკიცებასა და გაღრმავებაზე და მართლმადიდებლური თუ კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა არ უნდა გახდეს საერთო ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფისა და ხიდების ჩატეხვის მიზეზი, „ვინაიდან მოწვეული ბევრია, რჩეული კი ცოტა“ (მათ. 22, 14).

მოვუწოდებთ ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს, რომ ერთმანეთში ვეძიოთ მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც გვაერთიანებს და არა განსხვავებები.

**სოფელ არალის კათოლიკური სამრევლოს  
ახალგაზრდები**

## საშობაო ზეიმი წმ. კამილოს სახელში

10 იანვარს, წმ. კამილოს ინვალიდთა ფსიქოთერაპიულ ცენტრში ჩატარდა საშობაო ზეიმი.

ამ დღისათვის ინვალიდები დიდხანს ემზადებოდნენ. ცენტრის თანამშრომელთა დახმარებით მათ “დადგეს” წარმოდგენა, სცენარიც თავად დაწერეს. თემა ყველასთვის ნაცნობი იყო: იოსები, მარიაში, იესო. მუსიკალური წარმოდგენა მდიდარი იყო სიმღერებით და პანტომიმური ფრაგმენტებით.

კამილიელებმა ფართოდ გაუღეს კარები სტუმრებს. ზეიმზე მოვიდნენ: წმიდა საყდრის დესპანი ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, საელჩოს მდივანი, როლანდის მაკრიცკასი, ეპისკოსი ჯუზეპე პაზოტო, მამა არტური, რომელიც მოღვაწეობს თბილისის, წმ. პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესიაში, ასევე მონაზვნები სხვადასხვა კონგრეგაციებიდან: წმ. კამილოს დები, დედა ტერეზას დები, წმ. ელისაბედის დები და პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლები. სამწუხაროდ, ზეიმს ვერ დაესწრო ჩვენი ცენტრის გენერალური დირექტორი მამა ნინი მარტინი, რომელიც იტალიაში გადის მკურნალობის კურსს. დარწმუნებული ვართ, მას ძალზე გაახარებდა ბავშვების ზეიმი.



ყველანი ინტერესით და ყურადღებით უყურებდნენ წარმოდგენას. დასასრულს, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ და მამა როლადას მაკრიცკასმა მადლობა გადაუხადეს კამელიელებს და მათ აღსაზრდელებს ცენტრში ჩატარებული სამუშაოებისთვის.

ფსიქოთერაპიული კაბინეტის აღმასრულებელმა დირექტორმა ძმა რობერტო კუკულკამ, ყველანი მიიწვია სადღესასწაულოდ გაწყობილ სუფრასთან.

სუფრას ამშვენებდა პოლონური კერძი „ბიგოს“, რომელიც მოამზადეს თავად ცენტრის დირექტორმა და წმ. ელისაბედის კონგრეგაციის დებმა, დიდუბის მოხუცებულთა სახლიდან.

რა საშობაო ზეიმი იქნებოდა თოვლის პაპას, ფიფქიასა და საჩუქრების გარეშე. ბრწყინვალე გამასპინძლების შემდეგ, ყველას გასახარად მამა არტური გვესტუმრა თოვლის პაპად. ვინ იფიქრებდა, რომ ლამაზი, ლოყაწითელა, გრძელ ნაწნავეებიან ფიფქიად მოგვევლინებოდა თავად ცენტრის აღმსრულებელი დირექტორი ძმა რობერტი.

თოვლის პაპამ და ფიფქიამ თითოეულ აღსაზრდელს დიდი სითბოთი და კეთილი სურვილით გადასცეს საჩუქრები. ყველა კმაყოფილი დარჩა – სტუმრებიცა და მასპინძლებიც, მათ თვალები უბრწყინავდათ, სახეს კი ღიმილი უნათებდათ.

## **წმ. კამილოს ფსიქოთერაპიული ცენტრი**

### **სულიერება**

### **კარდინალი ანჯელო კომასტრი**

#### **ლოცვა იოანე პავლე II-ის ცხოვრებასა და მოძღვრებაში**

პაპი ბენედიქტე XVI ხშირად იგონებს თავის წინამორბედს, იოანე პავლე II-ს და ამ დროს მის სიტყვებში იგრძნობა აღფრთოვანება, ერთგულება, მადლიერება წინამორბედი პაპის მიმართ, სულიერი თანხმობა მასთან. ისტორიაში არც თუ ისე ხშირად შეხვედებით ასეთ შესანიშნავ ურთიერთდამოკიდებულებას ორი ადამიანისა, რომლებიც უზენაეს მოწოდებას უპასუხებდნენ.

2005 წლის 4 სექტემბერს, ანგელუსის ლოცვის წინ, კასტელგანდოლოში, ბენედიქტე XVI-მ პაპი ასეთი სიტყვებით გაიხსენა: “რა გულმხურვალედ აღაგლენდა იგი წმიდა წირვას, რომელიც მისი ყოველი დღის მთავარი მოვლენა გახდა! რამდენ დროს ატარებდა იგი მუხლმოდრეკილი და მღუმარე ლოცვაში ჩაფლული დიდი სანაწილის წინ! ბოლო თვეებში, ავადმყოფობის გამო, იგი სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა ტანჯულ ქრისტეს. საოცარია, როგორ შეუერთა მან სიკვდილის ჟამს თავისი ცხოვრების მსხვერპლი ქრისტეს მსხვერპლს მის სასთუმალთან აღავლენილ წირვაში”.

პაპ ბენედიქტე XVI-ის ეს სიტყვები ყველაზე ლამაზად და ზუსტად გვიხატავს იოანე პავლე II-ის სურათს. პაპ ვოიტილას მხურვალე, დაუდღელი აპოსტოლატი ლოცვისგან იბადებოდა. ერთი ექიმი, რომელმაც რამდენჯერმე მოინახულა იგი საავადმყოფოში, ამბობდა: “არასდროს მინახავს მუხლები, ასე გაუხეშებული ხანგრძლივი ლოცვისგან”.

იოანე პავლე II-ის დინამიზმს ვერაფრით ავხსნით, გარდა ლოცვისა: იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ “იესოს გარეშე არაფერი შეგვიძლია”; და ამ რწმენის ლოგიკური შედეგი ის იყო, რომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იგი ლოცვის კლდეს ეყრდნობოდა.

მრავალრიცხოვანი მოწმეები ყვებიან, რომ ხშირი და დამღლევი მოგზაურობებისას იოანე პავლე II დილით ყველაზე ადრე დგებოდა და ლოცვისთვის განირთხმებოდა დიდი სანაწილის წინაშე; და, მოსეს მსგავსად, მისი სახე ნათელს ასხივებდა, რადგან გული ჰქონდა ანთებული.

კარდინალი ანჯეი დესკური, პაპის სიყმაწვილის მეგობარი, ხშირად მასპინძლობდა თავის სახლში კარდინალ ვოიტილას რომში მისი ყოფნისას. მისი სიტყვებით, იგი იძულებული იყო თავის სამლოცველოში იატაკი გადაეკეთებინა: კარდინალ დესკურს ხშირად უნახავს მომავალი პაპი ლოცვაში განრთხმული ცივ იატაკზე. მეგობრის ჯანმრთელობის მოსალოდნელი და გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად კარდინალმა დესკურმა მარმარილოს ფილები ხის იატაკით შეცვალა.

იოანე პავლე II-ის უსაყვარლესი ლოცვა წმიდა სავარდე იყო. 1978 წლის 29 ოქტომბერს მან უთხრა შეკრებილ მორწმუნეებს: “სავარდე ჩემი საყვარელი ლოცვაა. მშვენიერი ლოცვა! იგი მშვენიერია თავისი უბრალოებითა და თავისი სიღრმით. “გახაროდენ, მარიამ,” – ამ სიტყვების ფონზე თვალწინ იესო ქრისტეს ცხოვრების ძირითადი ეპიზოდები ჩაგვივლის. ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ დგებიან სხვადასხვა საიდუმლოებებში და თითქოს მისი დედის გულის გავლით იესოსთან ცოცხალ ურთიერთობაში შევყავართ. ჩვენს გულს ძალუძს, ამ დეკადებში პიროვნების, ოჯახის, ერისა და მთელი კაცობრიობის ცხოვრების მოვლენები მოიცვას. სავარდის უბრალო ლოცვა ადამიანის ცხოვრების რიტმს სკანდირებს”.

1981 წლის 13 მაისს, როდესაც წმიდა პეტრეს მოედანზე იოანე პავლე II-ს ორი მომაკვდინებელი ტყვია მოხვდა, პაპმა ქალწულ მარიამის დედობრივი ხელი იგრძნო: მან, ვინც ქალწულ მარიამისადმი სრულ მიძღვნაზე საუბრობდა, – Totus tuus – საშიშროების ტრაგიკულ მომენტში უწმიდესი ღმრთისმშობლის პასუხი მოისმინა. ქირურგიული ოპერაციის შემდეგ, რომელიც სასწრაფოდ ჩაუტარდა 14 მაისის ღამეს, განთიადზე გონს მოსულმა იოანე პავლე II-მ ხმადაბლა უთხრა თავის მდივანს: “გუშინ მწუხრის ლოცვა არ წაგვიკითხავს!”. იგი წუხდა გამოტოვებული ლოცვის გამო და... მისი წაკითხვა დილით ისურვა!

თავდასხმის მოგონება სამუდამოდ დარჩა იოანე პავლე II-ის გულში. და ყოველ წელს, როდესაც თავისი სავანის სამლოცველოში სამადლობელ წირვას ადავლენდა, იგი ამ ხსოვნას ლოცვაში განიცდიდა. თავის ანდერძში მან დაწერა: “1981 წლის 13 მაისს ღმრთის განგებამ სასწაულებრივად მიხსნა სიკვდილისგან. სიცოცხლისა და სიკვდილის უფალმა სიცოცხლე გამიგრძელა, თითქოს ხელახლა მომცა იგი. ამ წამიდან იგი კიდევ უფრო მეტად ეკუთვნის მას”.

მაგრამ მლოცველი პაპის ყველაზე მშვენიერი სახის ხილვის შესაძლებლობა მისი ცხოვრების ბოლო პერიოდში გექონდა. ალბათ, ყველას მეხსიერებაში აღიბეჭდა 2005 წლის დიდი პარასკევი. უწმიდესი მამა, რომელსაც ავადმყოფობის გამო მოძრაობა არ შეეძლო, პაპის აპარტამენტების სამლოცველოს საკურთხევლის წინ იჯდა; იგი ტელეეკრანის მეშვეობით ადასრულებდა ჯვრის გზას და, ქრისტეს ვნებათა ჭვრეტაში ჩაფლული, გულმხურვალედ ლოცულობდა.

მეთოთხმეტე შეჩერებისას მან გაჭირვებით აიღო ხელში ჯვარცმა და ნელა ემთხვია მას: ამ წუთს ყველასთვის ცხადი იყო, რომ იესოა იოანე პავლეს ყოველი აზრის, ყველა საზრუნავისა და ყოველი ჟესტის შუაგული.

2 აპრილს, ნაშუადღევს, აღსრულებამდე რამდენიმე საათით ადრე, პაპმა იგრძნო, რომ მისი ჟამი დადგა და მშვიდად თქვა: “მომეცით საშუალება, მამის სახლში წავიდე”.

და იმ დროს, როდესაც მისი ოთახი ლოცვებით ივსებოდა, იოანე პავლე II ხან ქრისტეს ხატს მიაპყრობდა თვალს, ხან ჩესტოხოვის უწმიდეს ქალწულს, მანამ სანამ ლოცვით აღფრთოვანებული მარადისობაში არ გადავიდა.

წმიდა ტერეზა ლიზიელი სიკვდილამდე სამი თვით ადრე წერდა: “ბრძენს უთქვამს: “საყრდენი წერტილი მომეცით და დედამიწას გადავაბრუნებ”. არქიმედემ ეს ვერ მოახერხა, რადგან მისი სიტყვები ღმრთისკენ არ იყო მიმართული და მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით გაუდგურდა. მაგრამ ეს სრულად შეძლეს წმიდანებმა. ყოვლისშემძლემ საყრდენ წერტილად საკუთარი თავი მისცა, მხოლოდ საკუთარი თავი; მისცა ლოცვა, რომელიც სიყვარულის ცეცხლით აღანთებს გულს და აი, მათ გადააბრუნეს სამყარო. ასე აბრუნებენ მას მეტროპოლი ეკლესიის წმიდანები, გადააბრუნებენ მომავალი წმიდანებიც და ასე იქნება სამყაროს აღსრულებამდე”.

ტერეზა ლიზიელის სწორედ ეს სიტყვები განხორციელდა იოანე პავლე II-ის ცხოვრებაში.

## თარგმნა რუსუდან ავალიშვილმა

ეკუმენური გვერდი

**ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვის ასწლოვანი იუბილე:**

**წყალობის თუ ცოდვის ასი წელი?**

ასი წლის წინ, მ. პოლ ვატსონმა, საეპისკოპოსო მსახურმა, რომელიც შემდგომში კათოლიკე გახდა, ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვის კვირეული დააარსა; პირველად იგი 1908 წლის 18-დან 25 იანვრამდე აღნიშნა. 1909 წელს კი, მას შემდეგ, რაც ვატსონის გაერთიანება კათოლიკე ეკლესიის წიაღმა მიიღო, პაპმა პიუს X-მ კურთხევა გასცა ამ ინიციატივას.

1930 წლის პირველ ნახევარში აბატმა პოლ კოტურიემ ქ. ლიონიდან (საფრანგეთი), ახალ მიმართულება მისცა ეკლესიის ერთიანობის კვირეულს. ამ პერიოდში ახალი თაოსნობა მყარად იკიდებდა ფეხს კათოლიკე და ზოგიერთ ანგლიკანურ ეკლესიაში, რომლებიც რომის ეპისკოპოსისს შეხვედრებმა შეაგულიანეს. თუმცა ეს მხარდაჭერა, თეოლოგიური თვალსაზრისით, რომის ეკლესიის გარეთ მყოფმა მრავალმა ქრისტიანმა უარყო. აბატმა კოტურიემ თარიღი 18-25 იანვარი უცვლელად დატოვა, შეცვალა მხოლოდ ტერმინოლოგია; „ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის საყოველთაო კვირეული“, რომელიც მან შესთავაზა ხალხს, მიზნად ისახავდა ეკლესიის ერთიანობისთვის ლოცვას ისე, „როგორც ეს ღმერთს ნებავს“.

ზუსტად სამოცი წლის შემდეგ, რაც მ. პოლ ვატსონმა ახალი თაოსნობა დანერგა, 1968 წელს, მთელი მსოფლიოს ეკლესიები და საკრებულოები პირველად იღებენ საჭირო მასალას ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის კვირეულის აღსანიშნავად, რაც ეკლესიათა ეკუმენური საბჭოსა და კათოლიკე ეკლესიის ერთობლივი ძალებით მომზადდა.

ამჟამად, ეკლესიებს, მორწმუნე საკრებულოებს, ანგლიკანურ, პროტესტანტულ, მართლმადიდებელ და კათოლიკურ სათემოებს შორის თანამშრომლობა ამ კუთხით, საერთო პრაქტიკად გადაიქცა. ეს აშკარად მეტყველებს ლოცვის ნაყოფიერებაზე და უფლებას გვაძლევს ვისაუბროთ ლოცვის კვირეულზე, როგორც ერთ დიდ წარმატებაზე, სიხარულისა და მადლიერების წყაროზე.

კვირეულის ასწლოვან იუბილესთან დაკავშირებით ბიბლიური ტექსტი შეირჩა *1 თესალონიკელთა წერილიდან*, ფრაზა – „ილოცეთ განუწყვეტილად“ (1 თეს. 5,17), „გთხოვთ, ძმებო... იყავით მშვიდობაში ერთმანეთში. და აჰა, შეგაგონებთ: დაარიგეთ უწყესონი, ანუგეშეთ სულმოკლენი, მხარი დაუჭირეთ უძლურთ და სულგრძელნი იყავით ყველას მიმართ. არავინ მიაგოს ერთმანეთს ბოროტის წილ ბოროტი. არამედ მუდამ ცდილობდეთ სიკეთე უყოთ ერთმანეთს და ყველას. მუხამ ხარობდეთ. ილოცეთ განუწყვეტილივ. მადლიერნი იყავით

ყველაფრისათვის, ვინაიდან ეს არის თქვენს მიმართ ღვთის ნება ქრისტე იესოში“.

ტექსტში მრავალგზის მეორდება მოწოდებები, პავლე თავისი შეგონებებით ამხნევენს საკრებულოს, რათა აჩვენონ ღვთისაგან ბოძებული ერთობა ქრისტეში იმისათვის, რომ კონკრეტულად აისახოს ის, რაც *დასაბამია*: ქრისტეს ერთადერთი სხეული, ხილვადი და მოქმედი.

პავლეს ერთ-ერთ მთავარ მიზნად მიაჩნდა საკრებულოში ერთიანობის გამყარება. თვით სიკვდილიც კი ვერ გათიშავს იმ კავშირებს, რაც ჩვენ, როგორც ქრისტეს ერთადერთ სხეულს გვაერთიანებს. ქრისტე მოკვდა და აღსდგა ყველა ჩვენგანისთვის, ასე რომ, ქრისტეს მოსვლის ჟამს ყველანი, ისინი, ვისაც უკვე მარადიულად სძინავს და ვინც ცოცხლობს „მასთან ვიცოცხლებთ“ (5, 10). სწორედ ამ აზრმა მიიყვანა პავლე ტექსტში მოცემულ „მოწოდებებამდე“ (შდრ. 5, 13ბ-18),

თხრობა იწყება საკრებულოს წევრებისადმი პავლეს მოწოდებებით: „იყავით მშვიდობით ერთმანეთში“ (5, 13ბ), ისეთ მშვიდობაში, რომელიც არა მხოლოდ კონფლიქტების არქონაში აისახება, არამედ ეს იქნება ჰარმონიული ყოფნა, სადაც ყველა თავისი ნიჭით შეიტანს წვლილს მის გაფურჩქვნასა და მის საამაყო ზრდაში.

„მოწოდებებს“, „რაც სამშვიდობოა შენთვის“ (ლუკ. 19, 42), იგი ასეთნაირად აყალიბებს: *სცანიით მშრომელნი და ანუგეშეთ სულმოკლენი, მხარი დაუჭირეთ უძღურთ და სულგრძელნი იყავით ყველას მიმართ, არავიან მიაგოს ბოროტის წილ ბოროტი, სიკეთე ვუყვით ერთმანეთს და ყველას, მაღლიერნი იყავით ყველაფრისათვის* (შდრ. 1 თეს. 5, 14-18ა), დასკვნისას გაისმის მოსაზრება, რომ ყოველივე ამის შესრულებით, საკრებულოში გაცხადდება „თქვენს მიმართ ღვთის ნება ქრისტე იესოში“ (5, 18ბ).

კვირეულის მოწოდება *განუწყვეტელ ღოცვაზე* (5, 17), სწორედ პავლესეულ მოწოდებათა სიაშია გაჯერებული. იგი ნათელს ჰყენს იმ აზრს, რომ ქრისტიანული თემის არსებობა მხოლოდ ღოცვითი ცხოვრებითაა შესაძლებელი; ამასთანავე დასძენს, რომ ღოცვა ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მისით გამოიხატება ქრისტეში მონიჭებული ერთიანობა; ერთიანობა, რომელიც არ იფარგლება მხოლოდ თეოლოგიური თანხმობებით და ფორმალური დეკლარაციებით, არამედ აისახება იმაში, „რაც სამშვიდობოა შენთვის“ (ლუკ. 19, 42), კონკრეტულ საქმეებში, რითაც მორწმუნეები კიდევ უფრო ამტკიცებენ ერთიანობას ქრისტეში და ერთმანეთში.

მოწოდება „ილოცეთ განუწყვეტლივ“ ამ ასწლეულის მანძილზე ქრისტიანთა ერთიანობის ღოცვას შეესისხლხორცა.

ყველა საკრებულო მოწოდებულია ილოცოს განუწყვეტლივ საკუთარი ერთიანობისთვის და დაუშვრელად იღვაწოს, რათა ქრისტეს სხეულად იქცეს. ამავდროულად, მოწოდებულია განუწყვეტლივ ილოცოს ერთობისათვის ყველა მათგანთან ერთად, ვინც იმავე რწმენაში შეუერთდა ქრისტეს ნათლისღების მეშვეობით.

თუკი საქართველოში შეუძლებლად მოჩანს ერთიანობისათვის „ერთად“ ღოცვა ერთსა და იმავე ადგილას, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ უნდა *ვილოცოთ განუწყვეტლივ*, ეს ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანთა და ეკლესიათა ერთიანობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, თითქმის არჩევითი მოვალეობა. იქნებ პირიქით, სწორედ ამგვარი ვითარების გამო, ეს კიდევ უფრო აუცილებელია! ერთსა და იმავე ადგილზე ერთად ღოცვის შეუძლებლობა, საკუთარ ეკლესიაში „განუწყვეტელი ღოცვით“ უნდა შეიცვალოს!

მათ გასაგონად, ვინც ხშირად ამბობს (და ამასთან დაკავშირებით *მახსენდება 2007 წლის 8 დეკემბრის ფაქტი ქუთაისში იმ ეკლესიის კარებთან, რომელიც ადრე კათოლიკებს ეკუთვნოდათ*), რომ ცოდვას სხვადასხვა

ეკლესიების ქრისტიანთა ერთად ღოცვა, მინდა განვაცხადო, რომ ცოდვას არა ის, რომ ერთად ვილოცებთ, არამედ რომ არ ვლოცულობთ; ალბათ, ისინი ერთიანობისათვის ღოცვის ასწლეულს ცოდვის ასწლეულად შეაფასებენ და არა იმ გულმოდგინე მოვალეობად, რომლის მიზანიც გათიშულობის ცოდვის წარხოცვაა? სხვადასხვა ეკლესიათა მორწმუნეების ერთად ღოცვა რომ მართლაც ცოდვა იყოს, მაშინ ცოდვის ყველა ის შემთხვევა უნდა აღვკვეცოთ, რასაც შეიძლება წავაწყდეთ ერთად ღოცვის კუთხით, როგორცაა გზაზე აღმართული ჯვარი, ღოცვაში მყოფი ადამიანი, ეკლესია, რადიოთი გადაცემული რელიგიური გალობა... ეს ხომ უაზრობაა! უფრო გონივრული და იოლი ხომ არ იქნებოდა, რომ სული წმიდის წინააღმდეგ კი არ გავილაშქროთ (*მტრ. საქ. 5,39*), არამედ გავყვეთ მის წმიდა საქმეებს, რომელიც ადამიანთა და ეკლესიათა წინააღმდეგობის მიუხედავად, სრულ ერთიანობაში მიუძღვის ყველა ქრისტიანს და ყველა ეკლესიას?

ასამბლეის უწყება 2007 წ. 8 სექტემბერი.  
**ქრისტეს ნათელი ყველას ანათებს!**

ჩვენ, მთელი ევროპის და მსოფლიოს სხვადასხვა პილიგრიმები, მოწმობას ვიძლევი ამ ნათლის გარდამსახველ ძალზე, რომ იგი ძლევს სიბნელეს და ვაცხადებთ იმედად, რომელიც სრულიად მოცავს ჩვენს ეკლესიას, მთელს ევროპას და მთლიანად მსოფლიოს.

ჩვენ ამ მომლოცველობაში არ ვართ მარტონი. ჩვენთან ქრისტეა, მოწმეთა მთელი გუნდით (ებ. 1, 1), განსაკუთრებით გვერდში გვიდგანან თანამედროვეობის წამებულნი: მათი სიცოცხლის და მათი სიკვდილის მოწმობა ადვაფროთოვანებს ჩვენ, როგორც ინდივიდებს და როგორც ერთიან სხეულს. მათთან ზიარებაში ვიღწვით, რათა ქრისტეს ნათელმა გააბრწყინოს ჩვენი დამოწმებების გზით, რომლის ფესვები ღრმად არის ღოცვასა და სიყვარულში. ეს არის ჩვენი მდაბალი პასუხი მათ შეწირულ ცხოვრებაზე.

**ქრისტეს ნათელი ეკლესიაში**

ქრისტეს ნათელი შეგვეწვევა სხვებთან თანაარსებობაში და ჩვენს შორის თანაზიარებაში. ჩვენს მიერ გაცემული მოწმეობა ევროპისა და მსოფლიოს ერთიანობაზე და იმედზე მხოლოდ მაშინ იქნება სარწმუნო, თუ გავყვებით ერთიანობის ხილვად გზაზე. ერთიანობა არ ნიშნავს ერთფეროვნებას. მრავალმნიშვნელოვანია კელნის გამოცდილების გახსენება და იმ სულიერ წყალობათა გაცვლა-გამოცვლა, რამაც დასაბამითვე მიანიჭა ძალა ეკუმენურ მოძრაობას.

სიბიუში ისევ ვიგრძენით ჩვენს ეკლესიებს შორის მოუშუშებელი ჭრილობა. ეს, ასევე ეხება ეკლესიის და მისი ერთიანობის გაგებას; ისტორიულ-კულტურულმა ეტაპებმა დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანობაში გარკვეულწილად გააღრმავეს ეს სხვაობები, და მათი გაგება ჩვენს უცილობელ ყურადღებას და პერმენენტულ დიალოგს ითხოვს.

ჩვენ გვჯერა, რომ დიდი ქრისტიანული ოჯახი, სარწმუნოებრივ საკითხებს უნდა განიხილაგდეს და, ასევე, უნდა მივიდეს ღრმა თანხობამდე, სახარებისეული მორალის ფასეულობებით და სარწმუნო ცხოვრების სტილით, რომელიც სიხარულით დაამოწმებს ქრისტეს ნათელს ჩვენს სეკულარულ მსოფლიოში, როგორც კერძო, ასევე საჯარო სფეროში.

ჩვენი ქრისტიანული სულიერება ძვირფას განძს გვთავაზობს: როგორც კი ეს განძი გაიხსნება, თავის მრავალფეროვან სიმდიდრეს გაამჟღავნებს და ჩვენს გულებს იესოს სახის სილამაზესა და ნაყოფიერ ღოცვაში მიმართავს. მხოლოდ

მაშინ მივალწევთ მჭიდრო კავშირს, თუ უფალ იესო ქრისტეს დავუახლოვდებით, და განვიცდით ნამდვილ *კოინონია*-ს. ვერ დავუშვებთ, რომ ეს საუნჯე სხვებს არ გაუუზიაროთ, მათ, ვინც ამ კონტინენტზე ეძებს სინათლეს. სასულიერო პირები თვითმოქცევიდან იწყებენ, ამას კი მსოფლიოს გარდასახვა მოყვება. ჩვენს მიერ ქრისტეს ნათლის დამოწმება მოითხოვს ერთგულ მოვალეობას ერთმანეთის მოსმენაში, ერთმანეთის ცხოვრების და იმედის გაზიარებაში, მოსმენაში, რამაც ჩვენ გარდაგვქმნა ქრისტეს მოწაფეებად.

**პირველი რჩევა:** განვაახლოთ ჩვენი მისია, როგორც ცალკეულმა მორწმუნეებმა და როგორც ეკლესიამ, რათა ქრისტე წუთისფოლის მაცხოვრად და ნათლად გამოვაცხადოთ.

**მეორე რჩევა:** განვაგრძოთ დებატები ნათლობის ორმხრივ აღიარებაზე, გავითვალისწინოთ მნიშვნელოვანი შედეგები, რაც ამ არგუმენტზე არსებობს სხვადასხვა ქვეყანაში და გავაცნობიეროთ, რომ სიღრმისეულად უკავშირდება ევქარისტის, ღვთისმსახურებას და ზოგადად ეკლესიოლოგიის გაგებას.

**მესამე რჩევა:** ვეძებოთ ისეთი გზა, რაც საერთო საქმეში გვაერთიანებს: ლოცვა ერთმანეთის მიმართ და ერთიანობის, ეკუმენური პილიგრიმობის, თეოლოგიური ფორმაციის და საერთო სწავლებისთვის, სოციალურ-დიაკონური ინიციატივების, კულტურული პროექტების, ქრისტიანულ ფასეულობებზე დამყარებული საზოგადოებრივი ცხოვრების მხარდაჭერისთვის.

**მეოთხე რჩევა:** ღმრთის ხალხის სრული მონაწილეობა ეკლესიის ცხოვრებაში, ხოლო ამ ასამბლეაში, განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა ახალგაზრდების, ხანდაზმულების, ეთნიკურ უმცირესობების, ინვალიდების მიმართ.

### **ქრისტეს ნათელი ევროპაში**

გავიხსენოთ, რომ ყველა ადამიანი ღმრთის ხატად და მსგავსად შეიქმნა (ღაბ. 1, 27), და ყველა იმსახურებს თანასწორ პატივისცემას და სიყვარულს, მიუხედავად თავისი კულტურული, სარწმუნოებრივი, ასაკობრივი, სქესობრივი, ეთნიკური სხვაობისა (ამ ნაწილში, ასამბლეის მიმართვის წერილში, სიტყვიერად გაისმა ფრაზა „ჩასახვიდან ბუნებრივ სიკვდილამდე“, რომელიც შემდგომ შეიცვალა „დაბადებიდან ბუნებრივ სიკვდილამდე“ - „სიცოცხლის დასაწყისიდან ბუნებრივ სიკვდილამდე“. არცერთი ეს ფორმულირება არ არის ოფიციალური ტექსტის ნაწილი). ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი საერთო ფესვები გაცილებით ღრმაა ვიდრე ჩვენს შორის გათიშვა, თუკი ჩვენ ვეძებთ განახლებას, ეკლესიის როლის გაგებას და ერთიანობას თანამედროვე ევროპაში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ სხვა რელიგიების პიროვნებებთან შეხვედრაზე. განსაკუთრებით უნდა გვჯეროდეს იმ საერთო კავშირის, რაც გვაქვს ებრაელ ხალხთან, აღთქმის ერთან, უნდა უარვყოთ ანტისემიტიზმის ყველა თანამედროვე ფორმა და მათთან ერთად, გვსურს ევროპა ვაქციოთ ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან თავისუფალ კონტინენტად. ევროპის ისტორიაში იყო მწვავე კონფლიქტები, მაგარამ იყო ასევე ყველა რელიგიის მშვიდობიანი თანაცხოვრების პერიოდებიც. დღეს დიალოგის სხვა გზა არ არსებობს: არა როგორც კომპრომისი, არამედ ცხოვრებისეული დიალოგი, რაშიც შევძლებთ სიყვარულით განვაცხადოთ ჭეშმარიტება. ჩვენ ყველას გვჭირდება გაცილებით მეტის ცოდნა რელიგიებზე, და ეკუმენური ქარტიის რჩევები ბოლო ხანებში ხორციელდება. მივმართავთ ჩვენს ქრისტიან ძმებს და ყველა მათგანს, ვისაც სწამს ღმერთი, რათა პატივი სცენ სხვა პიროვნებების უფლებას რელიგიურ თავისუფლებაში, და გამოვხატოთ ჩვენი თანადგომა ქრისტიანულ სამრევლოებისადმი, რომლებიც ცხოვრობენ შუა აღმოსავლეთში, ერაყში ანდა მსოფლიოს სხვა კუთხეში, როგორც რელიგიური უმცირესობა და თავს განიცდიან საფრთხეში.

როდესაც ქრისტეს ვხვდებით განსაცდელში მყოფ ჩვენს დაძმებში, რომლებიც თანაბრად არიან გასხივოსნებულნი ქრისტეს ნათლით (მათ. 25,44-45), ჩვენ ქრისტიანები, ბიბლიის მცნებათა თანახმად, ვალდებული ვართ ვიღებთ: მოვინანიოთ ხალხთა გარიყვის ცოდვა, ჩავუღრმავდეთ „ალტერობის“ არსს, დავიცვათ ყოველი ადამიანის ღირსება და უფლება, თანადგომა გამოვუცხადოთ მათ, ვისაც ის სჭირდება, გავიზიაროთ ქრისტეს ის ნათელი, რასაც სხვები ატარებენ ევროპაში.

მივმართავთ ევროპის ქვეყნებს, რომ წერტილი დაუსვან დაუსრულებელ ადმინისტრაციულ გულგრილობას ემიგრანტებისადმი, მოახდინონ კანონიერი ემიგრაცია, ხიზნების, ემიგრანტების ინტეგრირება, მათი, ვინც თავშესაფარს ითხოვს, გააძლიერონ ოჯახის ერთიანობის მნიშვნელობა და ებრძოლონ ადამიანთა ტრეფიკინგს და ექსპლუატაციას. მივმართავთ ეკლესიებს, რომ თავიანთი სამწყსო მზრუნველობა გააძლიერონ ემიგრანტების მიმართ.

**მეხუთე რჩევა:** დაე, ეკლესიებმა აღიარონ, რომ ქრისტიანი ემიგრანტები არ ითხოვენ უბრალო რელიგიურ ზრუნვას, რომ მათ შეუძლიათ ეკლესიის და საზოგადოების ცხოვრების აქტიური გემირები იყვნენ; შესთავაზონ უკეთესი პირობები ემიგრანტებს, თავშესაფრის მთხოვნელებს და ხიზნებს, წაახალისონ ევროპაში ეთნიკური უმცირესობათა, კერძოდ, რუმინელი ხალხის უფლებები.

მრავალი ჩვენგანი მადლიერია იმის გამო, რომ განიცადა უკანასკნელ წლებში ევროპაში მიმდინარე ღრმა ცვლილებები. ევროპა უფრო მეტად ევროპული კავშირია. როგორც ქრისტიანები, ჩვენ ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას იმ საქმეში, რომ ევროპა გარდავსახოთ მშვიდობის, თანადგომის, თანამონაწილეობის და მხარდაჭერის კონტინენტად. ვაფასებთ ევროპული ინსტიტუტების ამაგს, გუგლია, გამჭვირვალე და სისტემატურ დიალოგს ევროპულ ეკლესიასთან. თვალსაჩინო წარმომადგენლებმა პატივი დაგვდეს და აქ იმყოფებიან, ამ გზით გამოხატეს დიდი ინტერესი ჩვენი მუშაობისადმი. ჩვენ უნდა მივიღოთ გამოწვევა, რომ ჩვენი სულიერი ენერჯია ამ დიალოგში ჩავაყენოთ. ერთიანი ევროპა დაიბადა პოლიტიკურ პროექტად, რომ უზრუნველყო მშვიდობა, ამჯერად, იგი უნდა გარდაიქმნას ხალხის ევროპად, და არ მხოლოდ ეკონომიურ სივრცედ.

**მეექვსე რჩევა:** გავაძლიეროთ ეკუმენური ქარტია, როგორც ევროპაში ჩვენი ეკუმენური გზის ბიძგის მომცემი წინამძღოლი.

### **ქრისტეს ნათელი მთელს წუთისოფელში**

ღმრთის სიტყვა დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს ჩვენ და ჩვენს ევროპულ კულტურას: ადამიანები მხოლოდ საკუთარი თავისთვის აღარ უნდა ცხოვრობდნენ, არამედ მისთვის, ვინც ჩვენს გამო მოკვდა და აღსდგა! ჩვენ, ქრისტიანები, უნდა გავთავისუფლდეთ შიშისგან და დაუძღვევლი სიძუნწისგან, რაც გვაიძულებს ვიზრუნოთ მხოლოდ საკუთარ თავზე, უძღურებმა, გუღჩაკეტილებმა.

ღმრთის სიტყვა გვიწვევს ამაოდ არ გავფლანგოთ იმ ადამიანთა ძვირფასი მემკვიდრეობა, რომლებმაც უკანასკნელი 60 წლის მანძილზე ევროპის მშვიდობისა და ერთიანობის მიზნით იღვაწეს. მშვიდობა არაჩვეულებრივად ძვირფასი მადლია. მთელი ქვეყნები მშვიდობით იკვებება. მთელი ხალხი ძალადობისაგან და ტერორისგან გამოსხნას ელის. სასწრაფოდ ჩავაყენოთ ჩვენი ძალები ამ მიზნებში, უარყოთ ომი როგორც კონფლიქტების გადაჭრის საშუალება, მათ გადასარჩენად ჩავრთოდ არაძალადობრივი აირადები, და ჩვენი ღრმა გულისტკივილი გამოვხატოდ სამხედრო შეიარაღების მიმართ. ძალადობა და ტერორიზმი რელიგიების სახელით რელიგიების უარყოფაა!

ქრისტეს ნათელი გაიბრწყინებს „სამართალზეც“, და მას ღმრთაებრივ გულმონწყალებას უკავშირებს. ამგვარად განათებული, ყოველგვარ

ორაზროვნებას იქნება მოკლებული. მიელს მსოფლიოში - და ევროპაშიც - საბაზრო რადიკალური გლობალიზაციის არსებული პროცესი ჰყოფს საზოგადოებას გამარჯვებულებად და დამარცხებულებად, აკინებს უამრავი ადამიანის ღირსებას, ასევე გარემო პირობების კატასტროფას, განსაკუთრებით, კლიმატურ ცვლილებებს, რაც შეუთავსებელია ჩვენი პლანეტის მომავალთან.

**მეშვიდე რჩევა:** მოვუწოდოთ ყველა ევროპელ ქრისტიანს მხარი დაუჭიროს გაერთიანებულ ერების მილენიუმის განვითარების ამოცანებს, როგორც ყოველად აუცილებელ ღონისძიებას სილატაკის დასაძლევად.

**მერვე რჩევა:** ევროპის ეკლესიებთან და სხვა კონტინენტების ეკლესიებთან ერთად დაიწყოს საკონსულტაციო პროექტი, რომელიც განიხილავს ევროპის პასუხისმგებლობის პრობლემატიკას ეკოლოგიური სამართლიანობის სფეროში, კლიმატური ცვლილებების საფრთხის წინაშე; ევროპის პასუხისმგებლობა გლობალიზაციის სამართლიან ფორმულირებაზე, ისევე როგორც რუმინელი ხალხის და სხვა ევროპული ეთნიკური უმცირესობის მიმართ.

დღეს, როგორც არასდროს, ვაღიარებთ, რომ აფრიკა, ჩვენს ისტორიასთან და ჩვენს მომავალთან ასე მჭიდროდ გადაჯაჭვული კონტინენტი სილატაკეშია, რის გამოც გულგრილობას და პასიურობას ვერ გამოვიჩინებთ. აფრიკის იარებმა ჩვენი ასამბლეას გული შეუშუსრა.

**მეცხრე რჩევა:** მხარი დაუჭიროთ იმ ინიციატივებს, რაც გააუქმებს საერთაშორისო ვალებს და სამართლიანი და სოლიდარული კომერციის წახალისებას.

წრფელი და ობიექტური დიალოგის გზით, მოვახდენთ ევროპის განახლებას, სადაც სახარებიდან ამოდებული შეუცვლელი პრინციპები და ქრისტიანული მორალური ფასეულობები, აქტიური მოვალეობისკენ გვიბიძგებენ. ჩვენი დავალება მდგომარეობს ამ პრინციპების და ფასეულობების გაღვივებაში, არა მხოლოდ პირად ცხოვრებაში, არამედ საზოგადოებაში. გვსურს ვითანამშრომლოთ სხვა რელიგიების ადამიანებთან, რომლებიც ჩვენს გულისტკივილს იზიარებენ ღირსეული ევროპის შესაქმნელად, რაც აისახება როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურად.

**მეათე რჩევა:** 1 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე პერიოდი მიეძღვნას ქმნილების დაცვისადმი ღოცვას და სარწმუნო ცხოვრების სტილის განვითარებას, რათა დავეხმაროთ კლიმატური ცვლილების ტენდენციის შემოტრიალებას.

პატივი მივაგოთ ყველა მათგანს, რომლებმაც დახმარება გაუწიეს ამ გზას, განსაკუთრებით, „ახალგაზრდა ეკუმენიზმს“, რომელმაც ამ ასამბლეის მონაწილეებს სახარებისეულ ცხოვრებაში გამბედაობისკენ მოუწოდა, გავერთიანდეთ ღოცვაში: „ჰოი, ქრისტე, ჭეშმარიტო ნათელი, რომელიც ანათებს და განწმენდ ყოველ არსებას, რომელიც ამ წუთისოფელში მოდის, გააბრწყინე ჩვენზე შენი ნათელი“.

ინფორმაცია

## 2007 წლის მიმოხილვა

ყოველი წლის დასრულებისას ადამიანი ანალიზებს თავის გაწეულ საქმიანობას, ისახავს სამომავლო მიზნებს. ასევე ყოველი დაწესებულებაც ცდილობს თვალი გადაავლოს თავის გასული წლის ნამოღვაწარს. ასევე ეკლესიაც, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მუდმივი აღმშენებლობისა და განვითარების პროცესში იმყოფება და სულიერების განმტკიცებისა და



დმერთთან მორწმუნე ერის თანაზიარებისთან ერთად ამქვეყნიური მნიშვნელობის საქმეებითაც არის დაკავებული.

საქართველოში კათოლიკე ეკლესია მრავალმხრივი მოღვაწეობა, წლიდან წლამდე ზრუნვა მრევლის სულიერი განმტკიცებისა და მორწმუნეთა საქველმოქმედო თუ საგანმანათლებლო თანადგომისათვის, სოციალური პროგრამები თუ მორწმუნეთა უფლების სამართლებრივი დაცვისათვის მიმართული საქმიანობა იმსახურებს მედიისა თუ ეკლესიის ისტორიის მკვლევართა ყურადღებას, რათა მომავალ თაობებს შემოვუნახოთ ის ღვაწლი, რასაც კავკასიაში ლათინური წესის წმიდა კათოლიკე და სამოციქული ეკლესია ეწევა.

2006 წლის 16 დეკემბერს დასრულდა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის პირველი სინოდი, რომელიც სამოციქული ადმინისტრატორის ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს მიერ სინოდის დასკვნით ქადაგებას თუ დავესესხებით, „სული წმიდის ქროლვით იყო მოცული“. ამ ქადაგებას ეპისკოპოსი ამთავრებს სახარებისეული მოწოდებით „ნუ გეშინიათ!“ და, რაოდენ საკვირველი უნდა იყოს, ეს მოწოდება დევიზად გაჰყვა არა მხოლოდ ეკლესიას, არამედ წლის ბოლოსათვის საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის სლოგანადაც იქცა.

ეკლესიის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას 2007 წელს სწორედ პირველი სინოდის გადაწყვეტილებებისა და მოთხოვნების რეალურ ცხოვრებაში განხორციელება წარმოადგენდა.

ეკლესიას თავისი რეალობის გადმოცემა მრავალგვარი აქტიურობით უწევს, მათ შორის გახლავთ საოჯახო სამწყსო, ანუ პასტორალური საქმიანობა, რომლის ამოცანას ოჯახებისადმი მხარდაჭერა წარმოადგენს. სწორედ ამ მიზანის განხორციელებისათვის არის მოწოდებული საოჯახო პასტორალური კომისია, რომლის წევრთა სამუშაო შეხვედრები უკვე ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისშივე ჩატარდა წეროვანის სულიერების ცენტრში სადაც მ. ეუი პილუსის ხელმძღვანელობით წარიმართა სამუშაო-საწვრთნელი შეხვედრა. (ოჯახურ წყვილთა შეხვედრები წეროვანში მთელი წლის განმავლობაში სისტემატურად ტარდებოდა). სინოდის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმის უმთავრეს აქტიობად მაინც ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ლოცვა-კურთხევით ჩატარებული სრულიად საქართველოს ლათინური წესის სამწყსო საბჭოების წევრთა შეკრება გახლდათ, რომელიც 6 მაისს გაიმართა წეროვანის სულიერების ცენტრში. შეხვედრაზე ეპისკოპოსმა სრულად ჩამოაყალიბა სამწყსო საბჭოების მოღვაწეობის მიზნები და მოვალეობები. ეს შეხვედრა იქცა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის პოსტსინოდალური ცხოვრების პირველი ეტაპის საწყის სამანად.

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს მიერ საქართველოს ყველა კათოლიკესადმი გამოცემული სამწყსო მიმართვა, რომელშიც მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ბოლო წლებში გაჩენილ უმსგავსო პრობლემას — ხელახლა გადანათვლას ეხება. ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსის თანახმად, მიუღებელია კათოლიკე ეკლესიის წიაღში მონათლულის ხელახალი მონათვლა ე. წ. გადანათვლა, რასაც სამწუხაროდ ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში, სამწყსო მიმართვის დანიშნულებაა, ნათელი შეიტანოს ამ უაზრო ქმედების არსსა და მოტივში. ამ პრობლემას შეეხო ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო 14 ოქტომბერს თბილისში ოფოციალურ ვიზიტად მეოფ მსოფლიო პატრიარქთან შეხვედრის დროსაც, როდესაც უწმინდესმა ბართლომე I-მა აღნიშნა მისი ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება კონფესიური ფანატიზმის მიმართ და გამოთქვა მისი პოზიცია, რომ ჭეშმარიტად აღიარებს კათოლიკე ეკლესიაში აღიარებულ ყველა საიდუმლოს. მსოფლიო პატრიარქმა მეუფე ჯუზეპე პაზოტო დააჯილდოვა საპატრიარქო ბეჭდითანი საეპისკოპოსო ჯვრით.

საქართველოში მოქმედ ლათინური წესის 30-მდე საკრებულოში სისტემურად მიმდინარეობდა ღმრთისმსახურება, მორწმუნეთა კატეხიზაცია, სოციალური პროგრამების განხორციელება. ადიგენის რაიონის სოფელ უნწის საკრებულოში კი თავისი არსებობის მეორე წლის დადგომა აღნიშნა. იზრდება კათოლიკე ეკლესია საქართველოში, მრავლდება საკრებულოები. 14 ივნისს გურიის სოფელ თხინვალში ლათინური წესის ახალი საკრებულო დაარსდა. პირველი წირვა ახლადდაფუძნებულ საკრებულოში მ. კარლო დი სტეფანომ აღავლინა. 2007 წელს დასრულდა სამოციქულო ადმინისტრატორის კურიის შენობის მშენებლობა და ის საზეიმოდ იკურთხა. გასულ წელსვე აღინიშნა წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის საფუძველის ჩაყრის 140 და კურთხევის 130 წლისთავი.

საკრებულოების ზრდასთან ერთად მრავლდება ღმრთისმსახურთა რიცხვი, 2007 წელს დიაკვნად აკურთხეს სემინარიისტი მიხეილ სურმავა, აკოლითად მსახურების კურთხევა მიიღო სემინარიადამთავრებულმა გიორგი როსტომაშვილმა, ხოლო წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძრის 7 მოზარდი უმცროს მინისტრანტად მომზადდა. ეს წელი ღირსშესანიშნავი გამოდგა სომხური წესის კათოლიკე მიხეილ ხაჩკალიანისათვის, იგი ჯერ დიაკვნად, ხოლო 21 ნოემბერს მღვდლად აკურთხეს. 2007 წელს საქართველოში მოღვაწე სომხური წესის მღვდელი მამა ემანუელი ერაყში გაგზავნეს სამწყემსმთავრო მისიით და სულ მალე ბაღდადის სომეხ კათოლიკეთა ეპისკოპოსად იქნა ნაკურთხი.

საქართველოში სამოღვაწეოდ კი ევროპაში მოქმედი წმინდა ნინოს დედათა ორდენის სამი მონაზონი ჩამოვიდა მსახურებისათვის. ამჟამად ეს დები ინტენსიურად ეუფლებიან ქართულ ენას.

ტრადიციულად დიდი ყურადღება ექცეოდა ეკლესიის მხრიდან საქველმოქმედო აქტიურობას. ამ მხრივ გამორჩეულია „საქართველოს კარიტასის“ საქმიანობა, რომლის დამსახურებაზეც მეტყველებს იმ მრავალრიცხოვან სტუმართა ვიზიტები და სამადლობელო გამოხმაურებები, რომლითაც ასე განებივრებულია „საქართველოს კარიტასის“ ცენტრალური თუ რეგიონალური ოფისები. წლეულს „კარიტასს“ საქართველოს პირველი ლედი ქ-ნი სანდრა რულოვსი და ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პოლონეთის პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი მ. კაჩინსკა ესტუმრენ და სამადლობელო ჩანაწერიც გააკეთეს სამახსოვრო წიგნში. „კარიტასისა“ და SRS დახმარებით კათედრალის 10-მა ახალგაზრდამ გაიარა საქველმოქმედო საქმის ორგანიზების ტრენინგ-კურსები.

2007 წელს საქართველოს კათოლიკეები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი საერთაშორისო სამშვიდობო აქციებში. ეკლესიათა ერთიანობისადმი მიძღვნილი ტრადიციული კვირეულის გარდა 16 ივლისს თბილისის საკათედრო ტაძარში ჩატარდა საერთო ლოცვა ერაყში მშვიდობისათვის. ამ ლოცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამ ქვეყანაში ხომ საქართველოდან სამშვიდობო მისიით წარგზავნილი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ბრიგადა ეწევა სამსახურს. ეკლესიის დელეგაცია მონაწილეობდა 11 სექტემბრის ტერაქტის ხსოვნასთან დაკავშირებულ ფართომასშტაბის ინტერკონფესიურ ლოცვაში. კათედრალის ახალგაზრდები მონაწილეობდნენ ურეკში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მხარდაჭერით ჩატარებულ ინტერლელიგიურ შეხვედრაში, გუდაურში გამართულ კონგრესში. 2007 წელი მდიდარი იყო მომლოცველობით, მაგრამ გამორჩეული გახლდათ იმ თვალსაზრისით, რომ პირველად განხორციელდა მომლოცველობა წმინდა მიწაზე. ყოველი ქრისტიანისათვის საოცნებო მომლოცველობის ორგანიზატორად ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო მოგვევლინა, მეგზურობა კი მამა პიერდ დიმულენმა ითავა, რომელიც მომლოცველთა ჯგუფებთან ერთად

ყოველწლიურად სტუმრობს წმინდა მიწას. საქართველოს კათოლიკეთა მომლოცველობა ისრაელში 8 დღეს გაგრძელდა და მისი მსვლელობა გაშუქებულ იქნა ვატიკანის ტელევიზიის Telepace-ს მიერ. იტალიაში ქრისტიანი ახალგაზრდობის ფორუმის დროს ლორეტოში მომლოცველობა განახორციელეს წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძრის მრევლის წევრებმა. გარდა ამისა, სხვადასხვა საკრებულოების წინამძღვართა თაოსნობით არა ერთი ადგილობრივი მასშტაბის მომლოცველობა განხორციელდა.

ბანაკები: ასევე საინტერესო ინიციატივად იქცა საქართველოს კათოლიკურ საკრებულოთა ჩემპიონატი მინიფესხურთში, რომელიც მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების აქტიური მხარდაჭერით მიმდინარეობდა და, რომელშიც პირველი ადგილი ბათუმის საკრებულოს ჭაბუკმა ფესხურთელებმა მოიპოვეს.

აქტიური იყო ჟურნალ „საბას“ საქმიანობა. მრავალი საჭირობოროტო თემა იქნა გაშუქებული ჟურნალის ფურცლებზე, არ შეწყვეტილა მკითხველთა გამოხმაურებებისა და და უსაფუძვლო ბრალდებების წინააღმდეგ სარედაქციო წერილების ბეჭდვა. წეროვანში ორჯერ ჩატარდა „საბას“ კორესპოდენტებისა და სარედაქციო საბჭოს შეხვედრები, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ქართული მწერლობისა და პრესის გამოჩენილი სახეები, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, და ცოცხალი, უშუალო საუბრების დროს კორესპოდენტთა მრავალ ე. წ. რთულ კითხვას გაეცა ამომწურავი პასუხი.

არ შენელებულა ინტერესი კათოლიკე ეკლესიის მიმართ საქართველოს სამთავრობო თუ არასამთავრობო სივრცეში, ეგ არის რომ მედიის მუშაკები კვლავინდებურად იგნორირებას უწევდნენ კათოლიკე ეკლესიისადმი მიძღვნილი მასალების გასაჯაროებას.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ჟურნალმა „სოლოდარობამ“ რამდენიმე სტატია მიუძღვნა კათოლიკე ეკლესიის პრობლემებს, კონფლიქტების და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრმა სპეციალური პრეზენტაცია მიუძღვნა კათოლიკე ეკლესიას, ამერიკის შესწავლის ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზეც რამდენიმე სამეცნიერო მოხსენება მიუძღვნა ქართველ და ამერიკელ კათოლიკეთა ურთიერთკავშირებს, ხოლო რელიგიათმცოდნეთა კავშირის ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე კათოლიკე ეკლესიის ისტორიისა და მისი საერთაშორისო როლის შესახებ რამდენიმე მოხსენება იქნა წარმოდგენილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ.

**ნუგზარ ბარდაველიძე**

**ახალგაზრდული გვერდი**

**ნარკომანი – ადამიანი მომავლის გარეშე**

**შეხვედრები ორპირში დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდებთან**

დასავლეთ საქართველოს კათოლიკური სამრევლოების ახალგაზრდები 27-დან 30 დეკემბრამდე ორპირს სტუმრობდნენ. ქუთაისის საკრებულოს სამწყსო საბჭოს წევრებმა ახალგაზრდებთან მეტად მნიშვნელოვანი საუბრები ჩაატარეს სხვადასხვა აქტუალურ თემებზე.

მე წინასწარ მოვემზადე ახალგაზრდებთან შესახვედრად, მაგრამ უფრო ძნელი აღმოჩნდა თემის შერჩევა, ვიდრე მისი მომზადება. ბოლოს გადავწყვიტე მათთან ნარკომანიასა და მის უარყოფით გავლენაზე მესაუბრა.

შეხვედრა ორგანიზებული იყო მამა კარლოსა და და ჟოზეფინას მიერ. როგორც ყოველთვის, შეკრება მაღალ დონეზე, თბილ გარემოში და საინტერესო

აღმოჩნდა. ახალგაზრდებმა ინტერესით მოისმინეს მოკლე ექსკურსი ბავშვთა უფლებების დაცვის დეკლარაციასა და ყველა იმ ორგანიზაციის მუსაობაზე, რომლებიც ბავშვთა უფლებების დაკანონებასა და გატარებაზე ზრუნავენ.

ყველანი ერთად ჩამოვყალიბდით და შევთანხმდით, რომ ნარკომანი არის ავადმყოფი ადამიანი და არა – დამნაშავე. რომ იგი დამნაშავედ მხოლოდ დროთა განმავლობაში გარდაიქმნება, რადგანაც მისი სამოქმედო არე კრიმინალურია: იგი ხვდება ნარკოტიკების გამყიდველებს, და როდესაც იგი წამალდამოკიდებული ხდება, მის საშოვნელად უკან არაფერზე დაიხვეს და სწორედ აქ იწყება კრიმინალის სათავე.

ვისაუბრეთ ნარკოტიკების სახეობებზე, მათი მიჩვევის ხარისხზე. ბოლოს ყველანი იმ დასკვნამდე მივედით, რომ მიჩვევას განსაზღვრავს წამლის სახეობა, ნარკომანის ფსიქიკა და მისი მოხმარების სიხშირე.

აქსიომაა, რომ გაცილებით ადვილია ამ მავნე ჩვევის პროფილაქტიკა, ვიდრე შემდეგ კოლონიებში თუ ციხეებში ახალგაზრდების თავისუფლების აღკვეთით გამოსწორება.

და რა არის ყველაზე საუკეთესო პროფილაქტიკა ამ, ყველაზე რთულ ასაკში, რომელიც 12-დან 21 წლამდე ასაკს მოიცავს? – ინფორმაცია და მხოლოდ ინფორმაცია, საუბრები მშობლებთან, ახალგაზრდებთან ურთიერთობის მაგალითის ძალა, ფილმების ჩვენება, მხატვრული ლიტერატურა, და, რაც მთავარია, იმ მითების დანგრევა, რაც საზოგადოებაში დამკვიდრებულია.

**მითი:** ვინც წამალს იკეთებს, ის „კაი ტიპია“.

**ფაქტი:** თუ ეს ადამიანი „კაი ტიპი“ იყო, უკვე აღარ არის, რადგან ის ნარკოტიკებმა შეცვალეს..

**მითი:** ნარკოტიკი ადამიანს ათავისუფლებს

**ფაქტი:** ნარკომანი მართლაც თავისუფალია ცხოვრების ყველა სიამოვნებისაგან.

**მითი:** ყოველთვის შეიძლება ნარკოტიკზე უარის თქმა.

**ფაქტი:** ნარკოტიკზე უარის თქმა მხოლოდ ერთხელ შეიძლება – პირველად.

ჩვენ ეტაპობრივად განვიხილეთ ყველა მომენტი: რატომ იკეთებს მოზარდი წამალს?! იქნებ იმ სასიამოვნო შეგრძნებების გამო, რომლებიც გამოყენებისთანავე იჩენს თავს. თუმცა ეს ეფექტები ხანმოკლეა და იწყება ე.წ. გამოსვლის ფაზა, შედეგი ყოველთვის უარყოფითია.

ნარკოტიკების უმატესობას ახასიათებსა მიჩვევა. ადამიანი იძულებულია მზარდი დოზებით მოიხმაროს წამალი, ხდება წამალდამოკიდებული და აღარ შეუძლია მასზე უარის თქმა, რადგან უფითარდება აბსტინენცია ანუ „ლომკა“. დრო ნელა, შენელებული მოქმედების ბომბივით ანგრევს ორგანიზმს.

მეც თავად ორი ვაჟის დედა ვარ, მათი ასაკიც სწორედ ამ სახიფათო პერიოდს მიეკუთვნება, ამიტომ ყველანაირად ვცდილობ მათ გაკონტროლებას და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ მზა რეცეპტი ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად არ არსებობს. მასთან საბრძოლველად გასათვალისწინებელია მოზარდის ფსიქიკა, ოჯახური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობა, მისწრაფებები თუ ინტერესები. ვფიქრობ, შეძლებისდაგვარად დასაქმება, დაკავება სწავლით, მუშაობით თუ სპორტით ნაკლებ შანსს უტოვებს ქუჩას მიიზიდოს მოზარდი. ყოველგვარი მანკიერება ხომ სიზარმაციდან და უსაქმურობიდან მოდის.

შეკრების მონაწილეთა შორის გაჩნდა მეტად საჭირობოროტო და საინტერესო კითხვები, მათ შორის, ასეთი: რომელი უფრო მეტი დამნაშავეა – ნარკოტიკების გამყიდველი თუ ადამიანებით მოვაჭრე?

ამ კითხვებთან დაკავშირებით ისტორიული ფაქტების მოშველიებაც კი დაგვჭირდა, გავიხსენეთ, რომ მამლუქთა ლაშქარში მყოფი მაჰმუდ ბეგი,

როგორც პიროვნება არ დაკარგულა; ნარკოტიკის შემომტანი და გამსაღებელი გარეწარი ქართველი კი ღუპავს თაობებს, ანადგურებს მათ ფიზიკურად, მორალურად.

პასუხი გაეცა კითხვას: რატომ ებრძვის ქრისტიანობა ნარკომანიას? იმიტომ რომ, პიროვნება ბოროტი სურვილების მონა ხდება; რომ მას ცხოვრებაში მიზანი არა აქვს; რომ ყველაფერზე – მკვლელობაზე, თვითმკვლელობაზეც კი წავა, ოღონდ წამალი იშოვოს.

ახალგაზრდებო, მე ყველას სახელები შეიძლება არ მახსოვდეს, მაგრამ გჯეროდეთ, ყველა თქვენგანის თვალები მახსოვს და მინდა, რომ არასოდეს დავინახო თქვენი დაბინდული მხერა. მინდა ყოველთვის ისეთი საინტერესო, ენთუზიაზმით სავსე და სიახლის შეცნობის სურვილით იყოთ მოსილნი, როგორც იქ, იმ დღეს, დეკემბრის ცივ, მაგრამ ნათელ დღეს იყავით.

**ნინო ჟღენტო**

## **განცხადება**

**2 თებერვალი** – უფლის ტაძარში წარდგენა – მირქმა; ბერ-მონაზონთა დღე (საკრებულოებში)

**6 თებერვალი** – ნაცრის ოთხშაბათი (დიდმარხვის დასაწყისი)

**11 თებერვალი** – ლურდის ღმრთისმშობლის დღესასწაული, ავადმყოფთა ზეთისცხება

**14 თებერვალი** – წმ. კირილე და წმ. მეთოდე, ევროპის მფარველები

**23 თებერვალი** – წმ. პოლიკარპე; მამა სტეფანე დემურიშვილის მოხსენიების დღე

## **ganc xadeba**

2008 წლის 14-15 მაისს, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირი, ჟურნალების “საბასა“ და „დიალოგის“ მხარდაჭერით ატარებს

### **რელიგიათმცოდნეობის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმს**

სიმპოზიუმის თემაა:

### **საქართველო, ბიოეთიკის პრობლემები და მისი განვითარების პერსპექტივები**

სიმპოზიუმში მონაწილეობის მსურველებმა წერილობითი განაცხადი უნდა წარმოადგონონ სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტში ა. წ. 15 აპრილამდე. განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს მონაწილის სახელი, გვარი, სამსახურის ადგილი, სამეცნიერო წოდება, ნაშრომის ზუსტი სათაური და მოკლე ანოტაცია. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენება არ უნდა აღემატებოდეს 8 გვერდს. შრიფტი აკადნუსური, ზომა – 12. მოხსენებას თან უნდა ერთვოდეს რეზიუმე ინგლისურ ენაზე. საკონტაქტო ტელ. 989516; 373627; 898980155; 897779995; e-mail: [dialogi.ge@yahoo.com](mailto:dialogi.ge@yahoo.com); [religio.ge@yahoo.com](mailto:religio.ge@yahoo.com)

## **საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ, უფალო!**

### **რიფსიმე ნასყიდაშვილი**

\* 01. 09. 1925 წ., ვალე

† 23. 10. 2007 წ., ვალე

### **მაგდანელა მანველიშვილი**

\* 10. 10. 1915 წ., ვალე

† 25. 12. 2007 წ., ვალე

### **სიმონ თელიაშვილი**

\* 01. 08. 1941 წ., ვალე

† 25. 12. 2007 წ., ვალე

### **ივანე მანველიშვილი**

\* 04. 05. 1934 წ., ვალე

† 26. 12. 2007 წ., ვალე

### **სიმონ ჩიტაშვილი**

\* 02. 12. 1925 წ., ვალე

† 26. 12. 2007 წ., ვალე

### **მარიამ გოზალიშვილი**

\* 01. 03. 1929 წ., ვალე

† 29. 11. 2007 წ., ვალე

## **სარჩევი**

რედაქციის გვერდი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

სულიერება

ისტორიის ფურცლები

ეკუმენური გვერდი

ინფორმაცია

საგანგებო ჩანართი:

ქრისტიანული სიმბოლოები

## **რედაქცია:**

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ნუგზარ ბარდაველიძე

ნატო ბიგვაგა

ვერიკო ნოზაძე

მერაბ ლაღანიძე

ზაზა შათირიშვილი

ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4

ტელ.: 98-95-16

რეგისტრაციის № 1853

დაარსდა 1994 წ.

მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2008

## ქრისტიანული სიმბოლოები

საგანგებო ჩანართი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბა“, 2007, № 10, 11, 12; 2008, №1 )

ქრისტიანულ სიმბოლოებს დღემდე ადამიანსა და უფალს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია ეკისრებათ. მათ უფრო მეტად ღრმა და შინაგანი დატვირთვა აქვთ, ვიდრე ეს პირველქრისტიანულ სიმბოლოებს ახასიათებდათ. განვიხილავთ რამდენიმე სიმბოლოს, რომელთაც უმთავრესი ადგილი უკავიათ ქრისტიანულ ეკლესიაში და, რომელთა გარეშეც, წარმოუდგენელია მორწმუნეთა ცხოვრება. ესენია: სანთელი, ჯვარი, ტაძარი და ხატი.

### სანთელი

ქრისტიანულ ეკლესიაში განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს სანთლებისა და სასანთლეების დანთებას. ქრისტიანული ღმრთისმსახურება შეუძლებელია სანთლის ანთების გარეშე ჩატარდეს.

ძველ აღთქმაში, როცა დედამიწაზე ღმრთის პირველი ტაძარი – მოწმობის კარავი – მოეწყო. როგორც თვით ღმერთმა ბრძანა, მსახურება სრულდებოდა სასანთლეებით (გამოსვ. 40, 4, 25). ამის მსგავსად, სანთლებისა და ზეთის ღამპების ანთება ახალაღთქმისეული ეკლესიის განუყოფელი ნაწილი გახდა.

მოცუპულთა საქმეებში ნახსენებია საღმრთისმსახურო შეკრებებისას სასანთლის დანთება. ასე, ტროადაში, სადაც უფლის მოწაფეები იკრიბებოდნენ კვირის პირველ დღეს – კვირას პურის გასატეხად, ე.ი. ლიტურგიის შესასრულებლად, ქურაში იყო ბევრი სასანთლე (საქმ. 20, 8). ბევრი სასანთლე იხსენება არა მხოლოდ გასანატეხელი დანიშნულებით, არამედ სულიერი მნიშვნელობის გამოც.

ძველქრისტიანული წესის (საღამოს ღმრთისმსახურებაზე სასანთლის შემოსხნა) ისტორიული განვითარებით მივიღეთ თანამედროვე საღამოს ღმრთისმსახურებაში შემოსვლა და გალობა ძველი ჰიმნის, რომელიც გამოხატავს ქრისტიანულ სწავლებას სულიერ სინათლეზე, რომელიც ადამიანს ანათებს, ქრისტეზე – კეთილშობილი სინათლის წყაროზე. დილის შემოსვლა დაკავშირებულია ქრისტეს შეუქმნელი ნათელის იდეასთან, რომელიც გამოვლენილია მის განკაცებაში და აღდგომაში.

„არასოდეს სრულდება ჩვენთან ღმრთისმსახურება უსანთლებოდ, – ამბობს ტერტულიანე (II ს.), – მაგრამ ჩვენ მათ ვიყენებთ არა მხოლოდ იმისათვის, რომ ღამის წყვილიანი გაგვანტოთ, არამედ იმისთვისაც, რომ ამის (ანთებული სანთლის) მეშვეობით გამოვსახოთ ქრისტე – შეუქმნელი ნატელი, რომლის გარეშეც ჩვენ შუადღისაც კი წყვილიადში ჩავიძირებოდით“ (Cjx. dsq. 3. Rbtd, 1915). „ყველა აღმოსავლეთის ეკლესიაში, – აღნიშნავს ნეტარი იერონიმე

(IV ს.), – როცა სახარება უნდა წაიკითხოს, ინთება სანთლები მზის შუქზეც კი, ჭეშმარიტად არა წყვედიადის გასაფანტად, არამედ სიხარულის ნიშნად... იმისათვის, რომ გრძნობადი სინათლის სახით ვაჩვენოთ ნათელი“.

„ლამპადები და სანთლები არსია (სახეა) მარადიული სინათლისა, ასევე, აღნიშნავს სინათლეს, რომელშიც იმყოფებიან კეთილმორწმუნენი“, – წმ. სოფრონი იერუსალიმის პატრიარქი (VII ს.).

VII საეკლესიო კრების მამებმა დაადგინეს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში წმიდა ხატებს და ნაწილებს, ქრისტეს ჯვარს, წმიდა სახარებას მიეგება პატივი საკმევლის კმევით და სანთლების ანთებით.

მართლმადიდებლები ეკლესიაში შესვლისას და ლოცვისას სანთლს ანთებენ იმ წმიდანის ხატის წინ, რომელზედაც ლოცულობენ. ხატის წინ დანტეხული სანთელი – ეს არის ნიშანი ჩვენი რწმენისა და იმედისა ღმრთის წყალობისადმი; ეს არის აგრეთვე, სიმბოლო ჩვენი ცეცხლოვანი და სამადლობელი სიყვარულისა ღმრთისადმი.

საეკლესიო დადგენილება მიუთითებს, სად და როდის უნდა აინთოს სანთლები სხვადასხვა მსახურებების დროს. ზოგჯერ განსაკუთრებულ შემთხვევებში, არა მხოლოდ ხატების წინ ანთებენ სანთლებს, არამედ ანთებული სანთლები ხელში უჭირავთ. უფლის იერუსალიმში შესვლის დღესასწაულზე (ბზობა), სახარების წაკითხვის შემდეგ ბზის კურთხევისას, ბზასტან – აღდგომის სიმბოლო – ერთად გვიჭირავს ანთებული სანთლები, დღესასწაულის დიდებულების და ჩვენი რწმენის აღსანიშნავად. თორმეტი სახარების კითხვისას მლოცველები ანთებული სანთლებით დგანან ღმრთაებრივი ვნების გაზიარებისა და მისადმი უსაზღვრო სიყვარულის ნიშნად. ასევე, დიდ ხუთშაბათს არმენაკის გამოტანისას. სანთლებით ხელში დგანან მორწმუნეები ლიტანიობასაც, ცისკრის დასრულებამდე – უდიდესი სიხარულისა და სულიერი ზეიმის ნიშნად. ეპისკოპოსთა მსახურებაზე იყენებენ განსაკუთრებულ სანთლებს: დიკირიას (ორსანთლიანი) – ქრისტეს ორ ბუნებას აღნიშნავს და ტრიკირიას ( სამსანთლიანი) – აღნიშნავს სამებას. ასევე ინთება პრიმიკირია (ლამპა), რომელსაც იპოლიაკონი დგამს სამეუფეო კარის წინ.

წმიდა საიდუმლოთა დროს: ნათლობისას ემბაზთან სამი სანთელი ინთება (სამება). ნათლიებს უჭირავთ სანთლები ემბაზის გარშემო შემოვლისას, ეკლესიის ახალი წევრის გამო სიხარულის გამოსახატად; ქორწინებისას მღვდელი ნეფე-დედოფალს აძლევს ანთებულ სანთლებს. ეს სანთლები გამოხატავენ სიყვარულს და სურვილს იცხოვრონ ქრისტიანული ეკლესიის სწავლების მიხედვით.

როგორც ვნახეთ, სანთლებს ანთებენ მრავალი სულიერ-სიმბოლური მნიშვნელობით ღმერთი, რომელმაც წყვედიადიან ნათელი აღმოგვიბრწყინა, ანათებს ჩვენს გულებს, რატა გვაკურთხოს ქრისტეს ღმრთაებრივ დიდებულებაში, ანატებს სამყაროს სულიწმიდის მადლით. ეკლესიაში დანთებული სანთლები მიუთითებს მლოცველთა ღმრთისმოსაობაზე, მათ სიყვარულზე და მსხვერპლზე, ამასტან, სიხარულზე და სულიერ დღესასწაულზე. ეკლესია თავისი ნათელით მარადიულ სინათლეს მოგვაგონებს, რომელიც ზეციურ სასუფეველში ანატებს მართალთა სულებს.

ძველთაგანვე მიღებულია, რომ საეკლესიო სანთლები ცვილისაგან მზადდებოდა. ყველაზე სუფთა და კეთილსურნელოვანი ნივთიერებისაგან, რომელსაც ყვაილებსაგან მივიღებთ და ცვენი მსხვერპლის გულწრფელობასა და სისუფთავეს გამოხატავს. დროთა განმავლობასი საეკლესიო სანთლების შემადგენლობა შეიცვალა. საეკლესიო სანთლები იკურთხება.

## ჯვარი



ქრისტიანული სიმბოლოების იერარქიაში ჯვარს მთავარი ადგილი უჭირავს. ის არის სიმბოლოთა საღმრთო ცენტრი. წმიდა ჯვრის გამოსახულება არის ახალი აღთქმის სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლო, მიწიერისა და ზეციურის გადაკვეთა, სამყაროს წარმოშობის საუკუნეების წინანდელი საიდუმლოს მატარებელი. როგორც ჯვრის ოთხი მხარე მაგრდება და ერთდება შუა წერტილში, ასევე, ღმრთაებრივი ზალა იმაგრებს სიმაღლეებს და სიღრმეებს, ხანგრძლივობას და სიფართოვეს, ე.ი. მთელ ხილულ და უხილავ სამყაროს.

ჯვარი მჭიდროდაა დაკავშირებული მარადისობამდელი ეკლესიის საიდუმლოსთან. ეკლესია დაფუძნებულია ჯვარზე, დაცულია ჯვრით. მას საეკლესიო ცხოვრებაში და ცნობიერებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. სექტანტები განსაკუთრებით ებრძვიან ჯვარს და პირჯვრის წერის წესს. ისინი ფიქრობენ, რომ ჯვარი მაცხოვრის ვნებისა და სიკვდილის იარაღია, რომლის მეშვეობითაც აღსრულდა უდიდესი დანაშაული და უსამართლობა, რომ ის არის ამქვეყნიური და კოსმიური ბოროტების თავმოყრა და განსახიერება. სექტანტებს უკვირთ, როგორ უნდა სცემდე ტყვეანს საყვარელი ადამიანის, მითუმეტეს ღმრთის წამების იარაღს. ძველი აღთქმისეული შემეცნებისატვის ჯვარი უარყოფისა და წყევლის ნიშანი იყო, ძრწოლისა და სიძულვილის საგანი. პავლე მოციქული წერდა, რომ ჯვარი არის „ჭურიათა საცდური და წარმართთა სისულელე“ (1 კორ. 1. 23).

წმინდა გამოსახულება არის იდეის ასახვა გარკვეულ სტრუქტურულ-ვიზუალურ პლანში. ხატი ნახატისაგან იმით განსხვავდება, რომ კონკრეტულ მოვლენას არ ასახავს მხოლოდ დროსა და ადგილთან მიმართებაში და არც მოვლენების მონაწილეთა უშუალო ემოციებს განასახიერებს, არამედ თვით მოვლენის არსს, აზრს, იდეას გადმოსცემს, თითქოს ატავისუფლებს მას დროისა და სივრცის მეუფებისაგან. ამიტომ ჯვრის თავყვანისცემა ქრისტიანისათვის ჯვრის იდეის მისტიკური აღქმაა. ჯვარს ქრისტიანისათვის რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. იგი ხატწერული ასახვაა მსოფლიო ისტორიის ცენტრალური მოვლენისა, რომელიც გოლგოთაზე აღსრულდა. კოსმიურ ასპექტში ჯვარი წარმოადგენს საყრდენს ყველა აგებულებისა და და გზას სოფლის აღდგინებისა. ძველ აღთქმაში იგი გარიყვისა და წარწყმედის სიმბოლოა, ღმრთისაგან უარყოფილი კაცობრიობის სახე, ხოლო ქრისტიანული ასპექტით ჯვარი არის მაცხოვრის მთელი ამქვეყნიური ცხოვრება ბეთლემიდან გოლგოთამდე. სოტერიოლოგიური აზრით ესაა უნივერსალური მსხვერპლი, მთელი კაცობრიობის სახელით შეწირული; ანგელოლოგიური – სატანის ძლევა, მისი ხელმწიფების დამხობა მიწის ზემოთ და ქვესკნელში, კაცობრიობის ახალი, უფრო ახლო კავშირი ნათლით მოსილ სულებთან. ჯვარი ყველაზე სრული განცხადებაა შექმნილისადმი შემოქმედის სიყვარულისა, იმ სიყვარულისა, რომელიც ჯვარცმამდე ანგელოზებისათვისაც კი უცნობი იყო. ზნეობრივი ასპექტით ჯვარი არის სულის გზა ქრისტესკენ, ახალი მცნება თავგანწირული სიყვარულისა. ჯვრის გარეშე გაუგებარი იქნებოდა მაცხოვრის სიტყვები: „იყუარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარეთ თქვენ“ (იოან. 13, 34).

ასკეტური თვალსაზრისით ჯვარი თავის უარყოფის სახეა, ესქატოლოგიურით – ლოგოსის სიყვარულისა ზეციური ეკლესიის მიმართ და ქრისტეს დაწინდებისა ადამიანის სულთან. მისტიკური მნიშვნელობით ჯვარი სიყვარულის საიდუმლოა, რომელიც წამების გზით ცხადდება. სიმბოლურად ჯვარი სახეა ამსოფლიური ცხოვრებისა, რომელიც ქრისტეს მიერ აღსრულდა. ჯვრის ოთხი ბოლო ქვეყნის ოთხი კუთხისა და წელიწადის ოთხი დროის სიმბოლოა და, ამგვარად, ჯვარი სიმბოლოა მსხვერპლისა, რომელიც დროისა და სივრცის საზღვრებს მოიცავს. ჯვრის ზემოთ მიმართული ხაზი არის გზა ღმრთისაკენ, ამქვეყნიური და ზეციური ეკლესიის ერთიანობა, ქვევით

მიმართული ხაზი ნიშნავს დემონური ზალების დამარცხებას, სიკეთისა და აბოროტების მომავალ განცალკევებას, ცხონების იმედს მათთვის, ვინც საშინელ სამსჯავრომდე ჯოჯოხეთში იმყოფება. ჰორიზონტალური ხაზი არის ღმრთაებრივი სიყვარული, რომელიც მთელ სამყაროს სწვდება – ყველა ხალხისადმი მიმართული ქადაგება ცხონების შესახებ. ქრისტიანისათვის ჯვარი არის არა სიკვდილის, არამედ სიცოცხლის სიმბოლო. სიყვარული თვით სიცოცხლეა მთელი თავისი სისაესით, მსხვერპლშეწირვა კი – სიყვარულის უმაღლესი გამოვლინება, ამიტომ უწოდა ქრისტემ ჯვარცმას თავისი დიდება. ჯვარი დამარცხება კი არა, ღმრთაებრივი სიყვარულის ნებაყოფლობითი აქტია. ჯვარი მთელი წმიდა წერილის ხატწერული სახეა. თვით ქრისტეს სიტყვებით, ორ მცნებაზე – უფლისა და მოყვასის სიყვარულზეა დაფუძნებული მთელი სჯული. ამრიგად, ჯვარი არის მზე, რომელიც განანათლებს სოფელს. მხოლოდ ქრისტეს შექმლო გამხდარიყო მსხვერპლი კაცობრიობის ცოდვებისათვის. თუ ადამის სახით დაეცა მთელი კაცობრიობა, რომელიც პოტენციურად არსებობდა მასში, როგორც თავის საწყისში, მაშინ ძე ღმრთისას, რომლის საუკუნეთა წინარე იდეაში არსებობდა ადამი და მთელი კაცობრიობა, შექმლო მსხვერპლი შეეწირა მთელი ქვეყნის ნაცვლად. მსხვერპლის არსი ისაა, რომ დამნასავეს ნებაყოფლობით ენაცვლება უდანაშაულო. ამიტომ ჯვარი არის ღმრთაებრივი სიმატლისა და სიყვარულის ერთიანობა.

ძველი აღთქმის ეკლესიის წმიდათა წმიდაში ინახებოდა ჯვრის პირველსახე – გოლიათის ხმალი, რომლითაც დავით მეფემ ფილისტიმელი შემუსრა და ისრაელი იხსნა. ქრისტიანული ეკლესია ინახავს და თაყვანს სცემს ჯვარს, სიკვდილის იარაღს, რომლითაც დაითრგუნა სიკვდილი და დემონი და რომელიც ჩვენი ცხოვრების ნიშანი გახდა.

ჯვარი არის მატერიის გარდასახვა, განწმენდა, გაბრწყინება, მომავალი საუკუნის გარანტი კოსმიური განვითარების რიტმში ნათლად გამოსახული. და როგორც ის სამყაროს განწმენდს, ისევე ეკლესია თავის საიდუმლოებებში განწმენდს მიწიერ სტიქიებს ცხოველმყოფელი ჯვრის გამოსახულებით.

რაც შეეხება ჯვრის გამოსახვის ფორმებსა და ქრისტეს ჯვარცმას. დღემდე არ არის ბოლომდე დადგენილი, თუ როგორი ფორმისა და გარეგნობის იყო ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აწამეს. მეოთხე საუკუნის საეკლესიო მწერლების გადმოცემებიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ დედოფალ ელენეს მიერ აღმოჩენილი ქრისტეს ჯვარი არაფრით განსხვავდებოდა იმ ჯვრებისაგან, რომლებზედაც მის გვერდით ავაზაკები აცვეს. ძველად, როგორც სადამსჯელო იარაღი, ჯვარი გამოიყენებოდა რომის იმპერიის სხვადასხვა მხარეებში და ყველგან თავისებური ფორმა ჰქონდა: ზოგჯერ ეს იყო უბრალო ძელი მიწაში ვერტიკალურად ჩარჭობილი – **I**; ზოგჯერ – ორი ერთმანეთზე გადადებული ძელი **X** (crux decussata მოგვიანებით ბურგუნდიული ჯვარი; ანდრიას ჯვარი); ზოგჯერ ორი ძელი: ერთი უიფრო გრძელი ვერტიკალურად ჩამაგრებული მიწაში, მეორე მომცრო კი მასზე ჰორიზონტალურად მიჭედებული, ისე რომ, ჯვარი იღებდა ასო **T**-ს ფორმას (ჯვრის ეგვიპტური ფორმა, ავაზაკური ჯვარი, ანტონის ჯვარი); ხანდახან ჯვრის ჰორიზონტალური ნაწილი ვერტიკალურ ძელს ზემოთ კი არა, არამედ უფრო ქვემოთ კვეთდა, ასე ჯვარი ოთხდაბოლოებიან ფორმას იღებს † არქეოლოგების უმრავლესობა თვლის, რომ ქრისტეს ჯვარს ჰქონდა ე.წ. დასაჯდომი – რქის ფორმის ხის ნაჭერი, რომელიც მაგრდებოდა სიგრძივი ძელის წინიდან შუაში ისე რომ, ჯვარცმული ეყრდნობოდა ან ჯდებოდა მასზე ისე, როგორც უნაგირზე და საფეხური – ხის ნაჭერი, რომელსაც ეყრდნობოდა ჯვარცმულის ფეხები. ჯვარცმულის თავსზემოთ ძირითადად ამაგრებდნენ პატარა დაფას, რომელზედაც ჯვარცმულის დანაშაული ეწერა. თუ ეს დაფა და საფეხური სცდებოდნენ ვერტიკალური

ძელის საზღვრებს, მაშინ ვიღებთ შვიდ ან რვადაბოლოებიან ჯვარს, თუ არც ერთი არ კვეთდა ამ საზღვრებს, მაშინ რჩებოდა ოთხდაბოლოებიანი ჯვარი; და ბოლოს, თუ საზღვრებს მხოლოდ დაფა ან მხოლოდ საფეხური არღვევდა, ვიღებდით ხუთ და ექვსდაბოლოებიან ჯვარს.

მონაცემები თვით იესო ქრისტეს ჯვარზე გვაქვს ნაწილობრივ ეკლესიის მამების ნაწერებში, ნაწილობრივ ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში. წინასწარმეტყველი იეზეკიელი (IX, 4) ამბობს, რომ უფალმა მართალთა გამოსარჩევად დააწესა ტაუ ფორმის ჯვარი. გაცილებით მეტი „მოწმე“ ჰყავს ფორმას. ირინეოს ლიონელი და იუსტინე ფილოსოფოსი ხუთდაბოლოებიან ჯვარზე ლაპარაკობენ. ნეტარი იერონიმე იესოს ჯვარს გაფრენილ ჩიტს ადარებს, იუსტინე კი – მოსეს, რომელსაც სალოცავად აქვს გაშლილი ხელები. ნეტარი ავგუსტინე წერს „იყო სიგანე, რომელზედაც განრთხმულნი იყვნენ ხელები, სიგრძე მიწიდან ამოზრდილი, რომელზედაც მიღურსმული იყო სხეული, სიმაღლე გადამკვეთ ხაზს მაღლა სცდებოდა“.

რადგანაც **T** იყო არა მარტო ლათინური და ბერძნული ანბანის ასო, არამედ ეგვიპტელებთან ეს სიმბოლო აღნიშნავდა ბედნიერებასა და სიხარულს, სრულიად შესაძლებელია, რომ ქრისტიანებს ეგვიპტელებისაგან აეღოთ ის, როგორც მომავალი, სიკვდილის შემდგომი ნეტარი ცხოვრების ემბლემა. ამას ადასტურებს ის, რომ ასეთი გამოსახულება გვხვდება ძირითადად ქრისტიანთა საფლავებზე და ამიტომ ის შესაძლოა სულაც არ აღნიშნავდეს იესო ქრისტეს ჯვარს. იმას, რომ იესო ქრისტეს ჯვარზე იყო დაფა სამენოვანი წარწერით „იესო ნაზარეველი, მეფე ჰურიათა“, ასევე დასაჯდომი და საფეხური, მოწმობენ ტერტილიანე, ირინეოს ლიონელი, იუსტინე ფილოსოფოსი. მაგრამ იმას, გადიოდნენ თუ არა ვერტიკალური ძელის ფარგლებს გარეთ, ეს კითხვა ჯერაც უპასუხოა.

უძველესი დროიდან არსებობს მოსაზრება, რომ ქრისტეს ჯვარი სხვადასხვა ხისაგან შედგებოდა: სიგრძივი ძელი – კიპაროსი, განივი ძელი – ფინიკის ხე, საფეხური – კედარი, წარწერიანი დაფა – ზეთისხილის ხე.

ჯვარი, როგორც ქრისტეს მიერ სამყაროს გადარჩენის იარაღი, ეკლესიის ჩასახვისთანავე ქრისტიანებისათვის უდიდესი პატივისცემის საგანი იყო. ეკლესიის მამები მას მოციქულებრივ გარდამოცემას უწოდებდნენ. პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ის ეკუთვნოდა საიდუმლო სფეროს ანუ წესჩვეულებებისა და რწმენის იმ სფეროს, რომელსაც წარმართებისაგან საიდუმლოდ ინახავდნენ. პირველი საუკუნეების შემორჩენილ ნივთებზე და საფლავის ქვებზე ვხვდებით ძირითადად ჯვრისა და ჯვარცმის ალეგორიულ გამოსახულებებს: მოსე მლოცველი ჯვრის მსგავსად გაშლილი ხელებით, უდაბნოში აღმართული სპილენძის გველი და ა. შ. მრავლად გვხვდება, ასევე, ჯვრის სიმბოლოებიც: ღუზა და **T**, რომელიც ჯვრის გამოსახულებად მიიჩნეოდა. მეორე საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ ფიგურას (ანუ ბერძნულ ასოს) მიუმატეს ასო – **I** ანუ სიგრძივი ხაზი, ის ჩასვეს **X**-ის შუაში. ზოგიერთები ამ ნიშანს ქრისტეს სახელის მონოგრამად მიიჩნევენ. ბერძნული ასოები **I** და **X** – იესო ქრისტე. უფრო გვიან ასი **I**-ს ნაცვლად **X**-ის შუაში სვამდნენ ასო **P**-ს – ქრისტეს სახელის მეორე ასოს, აქედან მიიღეს ნიშანი, რომელიც გვხვდება მესამე საუკუნის შემდგომ ძეგლებზე. არიოზის ერესის წარმოშობის შემდეგ ამ მონოგრამას მიუმატეს ასოები **α** და **ω**, რომლებშიც ქრისტესა და მამა ღმერთის ერთარსობაზე მინიშნებას ხედავდნენ. წარმართობაზე საბოლოო გამარჯვების შემდეგ ეს მონოგრამა ჩასვეს წრეში, ხოლო მოგვიანებით მასში განივი ხაზიც შეიტანეს. 355 წლიდან მას მოაცილეს **X**, შემდგომში დაიწყო მასში ბერძნული ფორმის ჯვრის ჩასმა – + – ასო **X**

გამოტოვებით, მაგრამ შეინარჩუნეს **ა** და **ა**, ამასთან ჯვრის ოთხივე ნაწილს ბოლოში გასქელებულად გამოსახავდნენ.

მეხუთე საუკუნის ბოლომდე ჯვარზე ჯვარცმულს არ გამოსახავდნენ. ხანდახან მხოლოდ ჯვრის მახლობლად ათავსებდნენ ქრისტეს სიმბოლოს – კრავს. მეექვსე საუკუნის დასაწყისში კრავი გამოსახულია ჯვრის ქვეშ, საკურთხეველზე. უფრო გვიან მას (კრავის სახით) გამოსახავდნენ ჯვრის ქვეშ მდიდრულად მორთულს, მას განგმირული მკერდიდან და ოთხი ფეხიდან სდის სისხლი. ბოლოს კრავი გამოისახა თვითონ ჯვარზე, მის შუაში თითქოსდა ჯვარცმული. მაგრამ ტრულის 691-692 წლების საეკლესიო კრებამ სასტიკად აკრძალა ასეთი გამოსახულებები, რის გამოც ისინი აღარ ჩანან. ამავე პერიოდს ეკუთვნის ქრისტეს გამოსახულებაც გაშლილი ხელებით, მაგრამ ჯვრის გარეშე. მეოთხე საუკუნეში ჯვარი იყო გავრცელებული მთელს რომის იმპერიაში. კონსტანტინე დიდმა თვითონ აღმართა ოქროს ჯვარი წმიდა პეტრეს საფლავზე რომში. მეხუთე საუკუნის საეკლესიო კულტში და ქრისტიანების ცხოვრებაში გვხვდება ჯვრები ზედ გამოსახული ქრისტეთი, მაგრამ ჯერ კიდევ არაჯვარცმული. უფრო ხშირად ქრისტეს ჯვრის საფეხურზე მდგომს გამოსახავდნენ მოხეიბე და დიდებულ პოზაში..

ჯვარზე ჯვარცმული ქრისტეს გამოსახვა, ზოგიერთის აზრით, დაიწყო მეექვსე საუკუნის ბოლოს. სხვები ფიქრობენ, რომ ეს მოხდა VII-დან IX საუკუნემდე. ამჟამად ასეთ უძველეს გამოსახულებად ითვლება რომში წმ. საბინას ტაძრის კარებზე გამოსახული ჯვარცმა, რომელიც მიეკუთვნება V-VI საუკუნეებს. თავდაპირველ ჯვარცმებზე იესო ძირითადად გამოსახული იყო ღია თვალებით და დიდებული შესახედაობით. აღორძინების ეპოქიდან ხდება მისი სახის გამომეტყველება ტანჯული. აღმოსავლეთში ჯვარცმული ყოველთვის გამოსახება პატარა მუქი წვერით და გრძელი თმით, დასავლეთში ხანდახან მას თავზე გვირგვინით გამოსახავდნენ, აღმოსავლეთში კი მეთერთმეტე საუკუნიდან ქრისტეს თავი შარავანდედითაა შემოხურული. მრავალ ჯვარცმაში საფეხურის ნაცვლად ჯვარცმულის ფერხით არის ან თასი, რომელშიც ჩადის სისხლის წვეთები, ან ადამი, რომელიც ჯვრის ქვემოდან მიწიდან ამოდის, ან ადამია თავის ქალა, ან თავი ვაშლით პირში. ეკლესიის გვირგვინი ჯვარცმაზე არ არის მეცამეტე საუკუნემდე. უძველეს ჯვარცმებში წარწერიანი დაფა სულ არ გამოისახებოდა. მეხუთე საუკუნიდან დაწყებული ჯვარცმა გამოისახება არასრული მოწყობილობით, რომელზედაც ლაპარაკია სახარებაში. მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებიდან ჯვარცმა ხანდახან გამოისახებოდა „სიცოცხლის ხის“ სახით, მისთვის დამახასიათებელი იკონოგრაფიული ატრიბუტებით; ამ და სხვა შემთხვევებში ჯვარცმულის აქეთ-იქეთ ტოტებში წინასწარმეტყველებს ატავსებდნენ, ხოლო ხის ფესვებში – მოსეს.

„საიდუმლო გადმოცემების“ რიცხვს ეკუთვნის სწავლება ჯვრის ლიტურგიკულ გამოყენებაზე. მოციქულთა დაუწერელი დადგენილებების ძალით ჯვარი დაედო საფიძვლად ყველა საეკლესიო საიდუმლოს ლიტურგიკულ ტექსტს. ჯვრის გამოსახვით იხსნება სამეუფეო კარი, რომლიდანაც მორწმუნეებზე გადმოდის სულიწმიდის მადლი. ეს მადლი მორწმუნეთა სულებში ამქვეყნიურს ზეციურად გარდასახავს, ამარცხებს სიკვდილს და გადალახავს გრძნობადი თვალისათვის შეუმჩნეველ წინააღმდეგობებს, რომლებიც ჩვენ ღმრთის შემეცნებისაგან გვაშორებს.

რასაკვირველია, ჯვარს არ ექნებოდა ასეთი ლიტურგიკული მნიშვნელობა, მგოლგოთაზე მოვონებას რომ ემსახურებოდეს. მრავალ მართლმადიდებლურ ლოცვაში აღინიშნება სული წმიდის, ღმრთისმშობლის და წმიდა ჯვრის კავშირი. სული წმიდის მიერ განათებულია სამყარო ჯვრის გამოსახულების მეშვეობით. ჯვარი სულიწმიდის მადლის ბეჭედი. ჯვარი და სული წმიდა ძალებია, რომლებიც ჩვენ ღმრთის შეცნობაში გვეხმარებიან. ბასილი დიდი

სული წმიდას მოიხსენიებს, როგორც ძალას, რომელიც ყველაზე მაღლა აგვიყვანს; მართლმადიდებლურ გალობაში კი ჯვარს უწოდებენ საფეხურს, რომლითაც ზეცაში ავლივართ. ასევე, ჯვარს მოიხსენიებენ, როგორც მზეს. ჯვარი არის წყარო დაუმრეტელი სინათლისა, წყარო განმდრთობისა, ამიტომაც გალობებშიც და პლასტიკურ გამოსახვაშიც ის შეთავსებულია ღმრთისმშობელთან – ღმრთაებრივი სინათლის მომწოდებელთან. ეს სინათლე ჯვრის წინაშე თავდახრილი ადამიანის სულში შედის. თვითონ ამაღლებაც არის არა მხოლოდ ისტორიული ფაქტისადმი მიძღვნილი დღესასწაული, არამედ ჯვრის აღმოჩენა ჩვენი სულის სიღრმეში, ადამიანის გაბრწყინება, როგორც სიცოცხლის ხის ძალით ამაღლებული სული წმიდის ტაძრისა.

დღესასწაულის ლიტურგია ყოველ მონაწილეს მოქმედ პირად აქცევს. ყველაფერი ხდება არა „ოდესმე“, არამედ „დღეს“, მთელი თავისი მარადიული დიდებითა და ძალით. ჯვრის ძალით განწმენდილი ადამიანი მზადდება ღმრთისადმი ურთიერთობისათვის.

**ანდრია ვაშაკიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)